რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 5 იანვარი 1918 წ.

ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 3 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციისა № 3

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ერთობა"-ზე

ხელის მოწერის პირობები:

ერთი თვით — 4 მან. 50 კაპ.
ორი თვით — 9 მანეთი.
სამი თვით — 13 მან. 50 კაპ.
ექვსი თვით — 27 მანეთი
ერთი წლით — 50 მანეთი
ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ.

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) ყოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება, შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ გვაიძულა.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით: Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА".

აგენტებს და თანამგრძნობთ ვსთხოვთ ხელის მოწერას ნუ დაეყოვნებენ.

ღრმათ დამწუხრებულნი მეუღლე მანუილ სიმონის ძე კუპატაძე, მამამთილ-დედამთილი სიმონ მოსეს ძე კუპატაძე და ანუსია ზურაბის ასული კუპატაძისა, მაზლი ვანო სიმონის ძე კუპატაძე და მული ცაბო სიმონის ასული კუპატაძე, მშობლები აქვსენტი გიორგის ძე ორჯონიკიძე და პელაგია მიხეილის ასული ორჯონიკიძისა შვილებითურთ: კოწია, ანდრო, გუგულა და ვლადიმერით, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს ძვირფასის და საყვარელი

სონას

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება სოფ. ღორეშაში (შორაპნის მაზრა) კვირას 7 იანვარს. 3—3

ავლაბრის მცხოვრებთ

მოქალაქენო!

მიმდინარე წლის 2 იანვარს შემდგარ მოქალაქეთა მცირე კრების დროებითი კომისია, ამით აცხადებს თქვენს საყურადღებოთ, რომ კვირას, 7 იანვარს, დილის 11 საათზე, ავლაბრის კლუბის დარბაზში არის დანიშნული მე-7 კომისარიატში მცხოვრებთ მოქალაქეთა

საერთო კრება

კრების მიზანია გამოარკვიოს მიზეზები იმ შეუწყვეტელ სროლისა, რომელიც სწარმოებს აქ ღამ-ღამობით და აგრეთვე ამ მოვლენის საწინააღმდეგო ზომების გამომუშავება. რადგან ძლიერ საყურადღებო საკითხია გასარჩევი დაბეჯითებით ვსთხოვთ ყველა მოქალაქეს აუცილებლათ გამოცხადდეს კრებაზე.

დროებითი კომისია.

1918 წ. იანვრის 7 ტფილისში გამოვა ჟურნალი

„ახალი კვალი"

ორგანო ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებისა.

ტფილისის ორგანიზაციის კომიტეტი დაბეჯითებით სთხოვს დანარჩენ ორგანიზაციებს საჩქაროდ შეგვატყობინონ: 1) რამდენი ცალის გავრცელება შეუძლიანთ; 2) თავისი, ან ორგანიზაციის აგენტის მისამართი; ეს ცნობები საჩქაროთ უნდა იქნეს მოწოდებული, რათა ჟურნალის გამოცემის საქმე არ შეფერხდეს. აგრეთვე გთხოვთ დაგვეხმაროთ მატერიალურათ და მოგვაწოდოთ მასალები.

ჩვენი მისამართი ჯერ-ჯერობით შემდეგია: Тифлисъ. Вера Матеріальная ул. № 3. Михаилу Чачуа.

განცხადება.

ყველა ოფიცრები და ჯარის-კაცნი, რომლებიც ჩარიცხულნი არიან

მე-3 ქართველთა მსროლელ პოლკში,

უნდა გამოცხადდენ არა უგვიანეს 10 იანვრისა 1918 წ. დაბა ყვირილაში, გარდა სამსახურში გაგზავნილებისა.

პოლკის კომანდირი პოლკოვნიკი ჩხეტიანი.

ქართული უნივერსიტეტი

ტფილისში გაიხსნება 1918 წ. იანვრის შუა რიცხვებში

ამ თავითვე იქმნება სიბრძნის მეტყველების ჰუმანიურ მეცნიერებათა განყოფილება. ლექციები იქნება **საფილოსოფიო, საისტორიო, სალიტერატურო, საენათმეცნიერო, საპედაგოგიო და სოციალურ მეცნიერებათა დარგებიდან.**

სტუდენტებათ მიიღებიან საშუალო სასწავლებლებში (ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები, სასულიერო სემინარია (ოთხი კლასი), რეალური, საკომერციო, საეპარქიო და წმ. ნინოს დედათა სასწავლებლები, საოსტატო ინსტიტუტი და სემინარია. კადეტთა კორპუსი და სხვ.) კურს-დამთავრებულნი.

სტუდენტად ჩასარიცხავად საჭიროა: 1) თხოვნა ქართული უნივერსიტეტის დროებითი გამგეობის სახელზე (თხოვნაში აღნიშნული უნდა იყოს მთხოვნელის მისამართი), 2) მოწმობა განათლების ცენზის შესახებ და 3) მეტრიკული მოწმობა (ვაჟთათვის). მსმენელთათვის საჭიროა მხოლოდ თხოვნა.

სწავლის ფასი სემესტრში (ე. ი. ნახევარი წლისა) სტუდენტებისა და მსმენელთათვის ათი თუმანი. იმ მსმენელთათვის კი, რომელთაც მხოლოდ ერთისა ან ორი საგნის მოსმენა სურთ,—ხუთი თუმანი. ფული ჩაწერისთანავე უნდა იყოს შემოტანილი.

ჩაწერა იოსებ ყიფშიძესთან, ქართული უნივერსიტეტის კანცელარიაში (ქართული გიმნაზიის შენობა) 12 ს.—2 საათამდე ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმეებისა.

ფოსტის ადრესი: въ канцелярію Грузинскаго Университета. Тифлис, зданіе Грузинской гимназіи.

ქართული უნივერსიტეტის დრ. გამგეობის წევრნი: პ. მელიქიშვილი.
(15—5) ივ. ჯავახიშვილი.

ექიმი

ნ. პ. რუხაძე

იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ყოველ დღე, გარდა კვირა დღეებისა საღამოს 6-დან 8 საათამდე. მიხეილის პრ., № 78; ბინა 2.

დამფუძნებელი კრება

ასრულდა მრავალ თაობათა ოცნება. რუსეთის დიდმა რევოლიუციამ დაამხო მეფის ტახტი და გზა გაუხსნა დამფუძნებელი კრების მოწვევას. მთელი ათი თვეა რუსეთის დემოკრატია ელოდა ამ დიად დღეს და მასზე ამყარებდა მთელ თავის იმედებს. მარა ამ სანეტარო დღეს თან დასდევს შავი აჩრდილი. ოქტომბრის აჯანყების შემდეგ ბალშევიკები, რომელთაც ხელთ იგდეს სახელმწიფო ძალა-უფლება, გადაჰკრით ამხედრდენ დამფუძნებელი კრების წინააღმდეგ. წინეთ მეფის მთავრობის მინისტრი სტოლიპინი ამბობდა: სახალხო წარმომადგენლობა იარსებებს, თუ ის ჩვენს სურვილებს აასრულებსო. დღეს ამასვე იმეორებენ ბალშევიკები: დამფუძნებელი კრება იარსებებს, თუ ის ლენინ-ტროცკის დეკრეტებს დაადასტურებს, მათ „სოციალისტურ" ექსპერიმენტებს კვერს დაუკრავს და სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე ქედს მოიხრისო. ეს ძველი თვითმპყრობელობის რესპუბლიკანურ რუსეთში გადმონერგვაა, ეს დამფუძნებელი კრების უფლებათა ფეხ-ქვეშ გათელვას მოასწავებს. **მთელი ძალა-უფლება დამფუძნებელ კრებას**—აი რა უნდა შეიქნეს რუსეთის დემოკრატიის საერთო მოთხოვნილება.

განა საეჭვოა, რომ ბალშევიკები თავის ბატონობას ადვილათ არ დასთმობენ და მთელი თავისი ძალ-ღონით შეეცდებიან დამფუძნებელი კრების დამორჩილებას და თუ ეს ვერ მოხერხდა, მის გარეკას შეუდგებიან! დემოკრატია მთელი თავის ძალ-ღონით ვალდებულია დამფუძნებელ კრებას გვერდში ამოუდგეს და მისი დაცვა იკისროს. დამფუძნებელი კრება—ეს რევოლიუციის გამარჯვების სიმბოლოა, ეს მისი დაგვირგვინების თავდები იქნება, არა და რუსეთი ანარქიის მსხვერპლი გახდება და უფსკრულში გადაიჩეხება.

რევოლიუციამ წაიფორხილა. მას უდიდესი განსაცდელის დღე დაუდგა. ბალშევიკების გამოსვლის შემდეგ გასწყდა ძაფი, რომელიც განაპირა კუთხეებს შიდა რუსეთთან აერთებდა. რუსეთი დარღვევის გზას დაადგა. ეს რევოლიუციის დამარცხებაა. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას კავკასიის შესახებ. ჩვენი დემოკრატია ძლიერია რუსეთის რევოლიუციის ზურგ-გამაგრებით. მოსპეთ ეს, ჩამოაცალეთ ჩვენს რევოლიუციას რუსეთის დემოკრატიის დახმარება და ის უდიდეს განსაცდელში ჩავარდება. ნუ დაივიწყებთ, რომ კავკასიაში ჯერ კიდევ მრავალია ისეთი ტომი, რომელიც განვითარების დაბალ საფეხურზე დგას და მათ ჯერ კიდევ გაბატონებული კლასები მეთაურობენ. რუსეთის დემოკრატიასთან კავშირის გაწყვეტა — ეს იქნებოდა კავკასიაში სოციალური საკითხების მიფუჩეჩება და მემამულეთა ბატონობის გახანგრძლივება. ამას ზედ დაურთეთ ფრონტის დაცვა, რომელიც თანდათან მეტ ძალას მოითხოვს მით უფრო, რომ ბალშევიკების წყალობით ფრონტი ჯარისაგან იცლება. ამიერ კავკასია ყოველ მხრივ კრიტიკულ მდგომარეობაშია. ჩვენში რევოლიუციის გამარჯვება შეიძლება რუსეთის დიდი რევოლიუციის დაბოლოვებით და მისი გამარჯვების უზრუნველყოფით. სწორეთ ამიტომაც ჩვენ მივესალმებით დამფუძნებელი კრების მოწვევას. ის რუსეთის გაერთიანების გამომხატველია და რევოლიუციის გამარჯვების თავდები გახდება.

დამფუძნებელ კრებას თან დასდევს შავი აჩრდილი. მარა ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ რუსეთის დემოკრატია დასძლევს ყოველგვარ დაბრკოლებას, ალაგმავს ანარქო-სინდიკალისტებს და რევოლიუციის განვითარებას შესაფერ კალაპოტში ჩააგდებს. გაუმარჯოს რუსეთის დამფუძნებელ კრებას!

ნაძირალების თარეში

ტფილისში და მის ახლო-მახლო ადგილებში ამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა ნაძირალების თარეში. ისე დღე არ გავიდის, რომ ვინმე არ გაცარცვონ ან არ მოკლან. ღამ-ღამობით კი გამუდმებული სროლაა: ისვრიან მოქალაქეთა დასაფრთხობათ, რომ ამის შემდეგ უფრო ადვილი გახდეს ძარცვა-გლეჯა, ისვრიან პროვოკატორული მიზნით, ისვრიან ისე, სხვათა შორის, თავის შესაქცევათ. და, რაც ყველაზე უფრო სამწუხარო და სავალალოა, ამ საერთო შავრაზმულ ფერხულში მონაწილეობას იღებენ ზოგიერთი ჯარისკაცები.

ტფილისი ამიერ კავკასიის გულია. აქ თავს იყრიან ყველა ეროვნების და რჯულის წარმომადგენლები. აქვეა თავმოყრილი მთელი კუთხის დაწესებულებები.

ომის შემდეგ და განსაკუთრებით მის გათავების მიწურულში, დემობილიზაციის დროს, ტფილისი გახდა გასავლელ გზათ.

ამ არევ-დარევით სარგებლობენ ბნელი საქმეების გაწვრთნილი მოხელენი — ჯიბგირები, ისე ქურდები, მძარცველები და შანტაჟისტები. მათ გროვას ემატებიან ომის გათავების გამო უსაქმოთ დარჩენილები, დეზერტირები და ათასი სხვა საეჭვო ღირსების ხალხი. აქვე მოღვაწეობენ სხვადასხვა ჯურის სპეკულიანტები და გეშეფთმახერები.

მოქალაქე დაშინებულია ნაძირალა ჯარისკაცების თვითნებობით და თვითგასამართლებით. ამიტომ შანტაჟისტები მოხერხებულათ სარგებლობენ ამ გარემოებით და სალდათის ტანისამოსში გადაცმულები ახდენენ ათასგვარ ბოროტმოქმედებას.

იქმნება განსაკუთრებული სულიერი მდგომარეობა: მოქალაქე კარგავს სამართლიანობის გრძნობას და, რაც ასეთს შემთხვევაში ყველაზე უფრო საშიშია, ის კარგავს გრძნობას პასუხისმგებლობისა. მოჰკალი, გაძარცვე, დააწიოკე, ვაჭრობაში მოატყუე, ხმის გამცემი არავინ იქნება, ასე ფიქრობს მრავალი მოქალაქე.

საჭიროა ბრძოლა შექმნილ ანარქიის წინააღმდეგ, საჭიროა ცხოვრების წესიერ კალაპოტში ჩაყენება.

როთი შეიძლება ეს?

ცხადია, რევოლიუცია დანგრევაა ძველი წყობილების. მის ალაგას ახალი ცხოვრების დამყარება ერთბაშათ შეუძლებელია. საჭიროა ახალი ფსიხოლოგია, საჭიროა ახალი მოღვაწეები, რომლის შექმნა ერთი დაკვრით არ შეიძლება.

ასეთი იყო რევოლიუციის შედეგი ყველგან, ასეთია ის ჩვენში.

ამას ზედ ერთვის კიდევ ომის მიერ გამოწვეული არევ-დარევა. ეს არევ-დარევა, შეუძლებელია, მალე მოისპოს. პირიქით, ომის დასრულების პირველ ხანებში მეტ არევ-დარევასაც უნდა მოველოდეთ. ბრძოლის ველიდან დაბრუნდება მრავალი ჯარისკაცი, რომელიც სამ-წლინახევრის სანგრებში ჯდომის დროს სრულიად გადაეჩვია სამოქალაქო ცხოვრებას. გამრავლდება უმუშევართა რიცხვი, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს ბოროტმოქმედთა რაზმს.

საჭიროა მრავალ სოციალურ რეფორმათა განხორციელება, საჭიროა დემოკრატიის ბრძნული და წინდახედული მოქმედება, რომ ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგეს.

ეს მომავლის საქმეა.

მაგრამ სანამ ცხოვრება ნორმალურ პირობებში ჩადგებოდეს, მანამდი საჭიროა ზომების მიღება, არევ-დარევის შემცირება, საჭიროა უპასუხისმგებლო პირთა ამ თავიდანვე ალაგმვა.

არაჩვეულებრივი გარემოება არაჩვეულებრივ ზომებს ითხოვს.

აგერ თვეზე მეტია, რაც ტფილისში სამხედრო წესებია გამოცხადებული, ქალაქის დაცვა აღმასრულებელ კომიტეტის ხელშია, გამოიცა მრავალი სავალდებულო დადგენილება მძარცველების და სპეკულიანტების წინააღმდეგ.

მიუხედავათ ამისა, ნაძირალები არხეინად განაგრძობენ თავის ბნელ მოღვაწეობას, რადგან არ არსებობს ის ძალა, რომელმაც სისრულეში უნდა მოიყვანოს საჭირო დადგენილებები.

ქალაქის მილიცია რიცხვით მცირეა და არც არის კარგათ მოწყობილი. სასამართლოს აპარატი ძველი მოხელეების ხელშია—ასეთია თვითმპყრობელობის დროს ზევიდან დანიშნული მომრიგებელი მოსამართლენი, ოლქის სასამართლოს წევრები, პროკურორები და გამომძიებლები. ესენი ძველ ტრადიციებზე არიან აღზრდილნი და კიდეც რომ გულწრფელათ მოინდომონ თავისი მოვალეობის ასრულება, ეს მათ არ შეუძლიათ, რადგან თვით სასამართლოს წყობილება ჩვეულებრივ დროსთვის არის შემოღებული.

ამიტომ არის, რომ ჯერ ძნელია ბოროტ-მოქმედის დაჭერა, მაგრამ კიდეც რომ დაიჭირო, ადვილათ აღწევს სასჯელს თავს, რადგან ბიუროკრატიულ სასამართლოს განკარგულებაში გადადის.

ყველა ამის თავიდან ასაცდენათ, საჭიროა ქალაქის მილიციის საშველათ შედგეს რაზმი წითელგვარდიელებისა და ჯარისკაცებისაგან. ყველა ავაზაკი, ყველა დამრღვევი წესიერების, ყველა ის, ვინც არაფრათ აგდებს კომიტეტის და ქალაქის თვითმართველობის დადგენილებებს, ყველა სპეკულიანტი და ნიხრის დამრღვევი სასტიკათ უნდა იქნას დევნილი და დასჯილი.

და რადგან არსებული სასამართლოს დაწესებულებები უვარგისია და ხალხის თვალში ნდობას მოკლებული, საჩქაროთ უნდა მოეწყოს რევოლიუციონური ტრიბუნალი ძველ წყობილებასთან ბრძოლაში გაკაჟებულ რევოლიუციონერთა მონაწილეობით.

ანარქია ძლიერდება. საჭიროა სასტიკი და ულმობელი წესები მის წინააღმდეგ, საჭიროა ამ წესების სისწორით ცხოვრებაში გატარება.

ნაძირალებმა უნდა გაიგონ, რომ რამდენათაც ლმობიერია დემოკრატია, იმდენათ ის ულმობელია საზოგადოების მტრების წინააღმდეგ.

გერმანელების ზავის პირობები

მკითხველს ეხსომება, რა აურ-ზაური ასტეხეს ბალშევიკებმა გერმანიის საზავო პირობების გამო. მთელ ქვეყანას ყურები გამოუჭედეს, გერმანიის იმპერიალისტებმა, იმპერატორ ვილჰელმის მეთაურობით ქედი მოიხარეს რევოლიუციური ხალხის წინაშეო, რომ ისინი თანახმა არიან უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი შეკრანო და სხვ. ტროცკიმ ამის გამო საზეიმო კრებაც კი გამართა და მთელი ხალხის წინაშე თავის დიპლომატიურ გამჭრიახობას და კომისართა პოლიტიკურ სიბრძნეს ქებათა ქება შეასხა. პრაპორ. კრილენკომ ისარგებლა ამ შემთხვევით და თავისებურ დემაგოგიით ჯარსა და ხალხს აუწყა, ჩვენ ზავი ჩამოვაგდეთ, ნემცები დავთრგუნეთ, მარა შინაური მტრები გვიშლიან ხელსო და უსისიანებდა ამათ წინააღმდეგ ხალხს: ჰკათ უკრაინელებს, განაპირა ქვეყნებს და სხვ.

მთელ ამ აურ-ზაურის შემდეგ ჩვენ მხოლოდ დღეს მოგვეცა საშუალება სავსებით გავცნობოდით გერმანელების საზავო პირობებს და თვით ბალშევიკების ოფიციალურ დაფასებას ამ პირობებისას და ჩვენ დავრწმუნდით, რომ ერთიც და მეორეც დაახლოვებითაც არ წარმოადგენს იმ საზეიმო სურათს, რომელსაც პრაპ. კრილენკო გვიხატავდა.

გერმანელთა საზავო პირობების პირველი მუხლი აღნიშნავს, რომ „თუ (რუსეთის) მოკავშირენი წინდაწინვე თანახმა იქნებიან თავის მხრივ ასეთსავე პირობებზე, გერმანია მზათაა, როგორც კი ჩამოვარდება ზავი და რუსის ჯარის დემობილიზაცია მოხდება, გაანთავისუფლოს დღევანდელი პოზიციები და დაკავებული რუსეთის ადგილები, რამდენათაც ეს არ ეწინააღმდეგება მეორე მუხლს.

მეორე მუხლში კი აღნიშნულია, რომ რადგან რუსეთის მთავრობა მომხრეა თვითგამორკვევის ყველა რუსეთში მოსახლე ერებისათვის გამოუკლებლივ, ის იღებს მხედველობაში, რომ პოლონეთმა, ლიტვამ, კურლიანდიამ და ნაწილმა ლიფლიანდიისა და ესტლიანდიისა გამოსთქვა სურვილი სრულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობისა და რუსეთის სახელმწიფოდან გამოყოფისა. რუსეთის მთავრობა აღიარებს, რომ დღევანდელ პირობებში ეს განცხადება უნდა მიღებულ იქნას ხალხის ნამდვილ სურვილთან და აქედან შესაფერი დასკვნა გამოიყვანოს".

ამ ქვეყნების დაცლის და მათში რეფერენდუმის მოხდენის საკითხს გერმანელები ცალკე კომისიას ანდობენ.

რას ნიშნავს ეს? ზავს უანექსიო და უკონტრიბუციოს? სრულიადაც არა.

გერმანია სცლის არა რუსეთის საზღვრებს, არამედ **მომავალ** საზღვრებს, რომელშიაც არ შედის პოლონეთი, ლიტვა, კურლიანდია, ნაწილი ლიფლიანდიის და ესტლანდიის, ესე იგი, თითქმის არც ერთი გერმანიის ჯარისგან დაპყრობილი ნაწილი რუსეთის რესპუბლიკის.

ამ ქვეყნებს გერმანია დაუყონებლივ აცხადებს დამოუკიდებლათ რუსეთისაგან, ხოლო გერმანიასთან რა დამოკიდებულებაში იქნებიან—ამაზე მორცხვათ სდუმს. ცხადია, ეს ძალთა განწყობილებამ უნდა გადასჭრას.

ბალშევიკების უბადრუკ დიპლომატებს კი აი როგორ მოსჩვენებიათ. [illegible] საბჭოს რეზოლიუცია ამის შესახებ ამბობს: პირველ პროგრამულ განცხადებაში, რომელიც ოთხთა კავშირის წარმომადგენლებმა წამოაყენეს ბრესტში, აღიარებულია **პრინციპიალურათ** ზავის ჩამოგდება უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ. ამ განცხადებით შეიქმნა ნიადაგი მოლაპარაკების გასაგრძობათ საერთო დემოკრატიულ ზავის შესახებ. მარა უკვე ამ განცხადებაში გერმანიის წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს იმ თვითგამორკვევის უფლების ცნობაზე იმ დაჩაგრულ ერებისა და კოლონიებისთვის, რომელნიც 1914 წლამდი იქნენ დაპყრობილნი. ჩვენ კი გვგონია, რომ აქ დიდი შეცდომაა. გერმანელებმა უარყვეს არა მარტო ძველათ დაპყრობილ ერებისთვის თვითგამორკვევის მინიჭება, არამედ რუსეთის დაპყრობილ ერებისთვისაც.

მართლაც, ეს ერები გერმანიის აზრით დღესვე ცხადდებიან რუსეთისგან დამოუკიდებლათ და რუსეთს უნდა გამოეყონ, ასე რომ მათი შეერთება რუსეთთან ფედერატიულათ ან სხვა გზით წინდაწინვე უარყოფილია. სამაგიეროთ მათ გზა ხსნილი აქვთ გერმანიასთან შესაერთებლათ. თუ დავუმატებთ ამას იმასაც, რომ გერმანიის ჯარი არავინ იცის, როდის დასტოვებს ამ ერთა ტერიტორიას, თქვენთვის ცხადი იქნება, რომ გერმანიას განზრახვა აქვს ნაპოლეონ III დიპლომატია განიმეოროს და ძალდატანებითი საყოველთაო რეფერენდუმით მიიღოს ამ ერთა „ნებაყოფლობითი" შეერთება გერმანიის იმპერიასთან. და განა ესაა თვითგამორკვევა?

არა, ესაა მხოლოდ ათამაშება „რევოლიუციონურ" დიპლომატებისა გერმანიის იმპერიალისტთა წინაშე.

და, როცა ბალშევიკები ამას თავის გამარჯვებათ აცხადებენ, ისინი ან თავს ატყუებენ და ან ხალხს, უფრო კი ორივეს. ეს მოტყუილება მით უმეტეს ცხადი ხდება, რომ ერთი მოკავშირეთაგანი, ავსტრია, დაპყრობილ ადგილებიდან თავის ჯარის გაყვანაზე სავსებით უარს აცხადებს. „ავსტრო უნგრეთის მთავრობა უარს აცხადებს დაუყონებლივ ჯარების გაყვანაზე დაპყრობილ ადგილებიდან: პოლონეთიდან, ესტლანდიიდან, ლიფლანდიიდან და კურლანდიიდან". ამას ამბობს თვით ბალშევიკების რეზოლიუცია საზავო მოლაპარაკების შესახებ.

ახლა ვიკითხოთ, სადაა აქ იმ დემოკრატიული პრინციპების გამარჯვება, რომელიც რუსეთის რევოლიუციამ წამოაყენა?

ჩვენ არას ვიტყვით იმაზე, რომ გერმანელები გარდა ამისა თხოულობენ რუ-

ეთში თავისუფალ ვაჭრობას. შეღავათიან პირობების მიცემას, გერმანეთის ...ანრბეულ ან კანონით დასჯილ ქვეშევრდომთა ზარალის ანაზღაურებას და სხვა. დავასკვნათ: გერმანელების მიერ ბრესტში წამოყენებული ზავის პირობები შეიცავს ზავს ანექსიით, მარა [illegible] გახვეულ ბონაპარტისტულ ფორმაში. გერმანელები თხოულობენ ზავს კონტრიბუციით, მარა ფარული სახით. გერმანელები თხოულობენ რუსეთზე ეკონომიურ ბატონობას.

და განა სხვაფერ შეიძლებოდა? თავის [illegible] პოლიტიკით ბოლშევიკებმა მოუსპეს რუსეთის ხალხს საშვალება დემოკრატიული ზავის მიღების. და ჩვენ ვეჭობთ, რომ დღეს რაიმე ძალამ შესძლოს ამ გაფუჭებული საქმის გამოსწორება. მარა თუ რამდენიმეთ მაინც შეიძლება რამე გაკეთდეს, თუ მცირეოდენი შემსუბუქება მაინც შეიძლება იმ უღლის, რომელსაც გერმანია უმზადებს რუსეთს, ეს უნდა იკისროს დამფუძნებელმა კრებამ, საყოველთაოთ ცნობილმა და მთელი დემოკრატიისაგან ზურგ გამაგრებულმა. სხვა გზა ხსნისა ჩვენ არ მოგვეპოვება.

დამფუძნებელი კრების გახსნა

დღეს, 5 იანვარს, დამფუძნებელი კრება უნდა გაიხსნას. დღეს რუსეთის რევოლუციონური მასის საუკეთესო გრძნობა-ზრახვანი აქეთ არის მიმართული და დამფუძნებელ კრებიდან მოელის მიწისა და ზავის საკითხის საბოლოოთ გადაჭრას, ძირითად ეკონომიურ და სოციალურ რეფორმების მოხდენას და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას.

სრულიად რუსეთის მუშათა კლასი და რევოლუციონური დემოკრატია დიდი ხანია დამფუძნებელ კრების გახსნას შესტრფიალებს და დამფუძნებელი კრების მოწვევის მეოხებით ფიქრობს იმ ანარქიის მოსპობას, რომელიც ასე ფართოდ მოედო საზოგადოებრივ ცხოვრებას და რომელიც ასე დიდ საფრთხეში აყენებს მთელს რევოლუციას.

დამფუძნებელი კრება რევოლუციონური ხალხის სურვილების, რევოლუციონური კლასების ძალთა განწყობილების საუკეთესო გამომხატველია და სწორედ აქ ჩაეყრება მტკიცე საძირკველი იმ საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომელიც მშრომელ კლას დაუახლოებს მის საბოლოო მიზანს. დამფუძნებელი კრების მოწვევას და შეკრების იდეია სოციალ-დემოკრატიულ პარტიას დიდი ხანია [illegible]. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია დღიდან წარმოშობისა მის მოწვევას მოითხოვდა.

მაგრამ ჩვენ დღესაც არ ვართ სრულიად დარწმუნებული, რომ მას გარეშე ძალა თავს არ დაესხმის და გარეკას არ მოუნდომებს. რუსეთის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა ანარქო-ბლანკისტური პარტია—ბოლშევიკები და ეს უკანასკნელი საერთო მასის რევოლუციონურ სურვილებს ანგარიშს არ უწევს. ახალი ტიპის ბლანკისტები—ანუ სწორედ რომ ვსთქვათ ლენინ-ტროცკის ბანდების მთავრობა ჯარის ერთი ნაწილის და წითელი გვარდიელების დახმარებით მას მუდამ მტარვალათ ევლინება და დამფუძნებელ კრების ავტორიტეტს ფეხს ქვეშა სთელავს.

დამფუძნებელ კრებას ისინი ტენდენციურათ კონტრ-რევოლუციის ბუდეთ [illegible] და მას სახალხო კომისარების, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს უპირდაპირებენ. მათი აზრით უკანასკნელი ორგანოები ხალხის უმრავლესობის სურვილის საუკეთესო გამომხატველია და მაშასადამე დამფუძნებელი კრების მოწვევა და დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცება ზედმეტი ბარგია. ბოლშევიკების დამფუძნებელ კრებაზე ასეთი ყალბი და ანარქისტული შეხედულება წარმოშობილია მათსავე ანარქო-ბლანკისტურ ტაქტიკაზე. ვინ არ იცის, რომ ლენინ-ტროცკის პარტია და მათი ორგანოები ამჟამათ რუსეთში სოციალისტურ რევოლუციის მოხდენას აპირობენ და ამისთვის „შესაფერ" ექსპერიმენტებსაც აკეთებენ.

ეჭვს გარეშე დამფუძნებელი კრების უმრავლესობა, დამფუძნებელ კრებაში თავმოყრილი მუშათა და გლეხკაცობის წარმომადგენლები ბოლშევიკების ასეთ უტოპიას არ მოიწონებენ და ლენინ-ტროცკის პოლიტიკურ ავანტიურას ალაგმავენ. სწორედ ამ მოსაზრებით ბოლშევიკები—ეს რევოლუციის ალქიმიკოსები დამფუძნებელი კრების წინააღმდეგ შეთქმულობას აპირებენ და მისი დამხობა მიზნათ აქვთ დასახული.

ფრიდრიხ ენგელსმა ერთ თავის შესანიშნავ წერილში საუცხოოთ დაახასიათა ძველი ბლანკისტები. იგი ამ წერილში ამბობს: ბლანკისტები ისეთი ბანდია, რომლებიც ცდილობენ რევოლუციის განვითარების პროცესს წინ გაუსწრონ, გამოიწვიონ მასში ხელოვნური კრიზისი, მოახდინონ რევოლუცია ისეთ დროს, როცა მისთვის საჭირო ობიექტიური და სუბიექტიური პირობები არ არიან მზათ... ისინი რევოლუციის ალქიმიკოსები იყვნენ და რევოლუციონურ აზროვნებაში ისეთსავე არევდარევას, შეხედულებათა სივიწროვეს იჩენდენ, როგორც საშუალო საუკუნოებში ალქიმიკოსები. ენგელსის სიტყვით ბლანკისტები განთქმულნი იყვნენ არაჩვეულებრივი სიმამაცით, რევოლუციონური გაბედულებით, აშენებდენ ბარიკადებს, აწყობდენ აჯანყებებს და ისინი იყვნენ ქუჩის ამბოხების მეთაურები. მაგრამ ეს გაბედული აფიცრები პროლეტარიატის მომავალ მოძრაობას არაფერს სძენდენ, პირიქით მათი მოძრაობა წარსულს ეკუთვნის.

ბოლშევიკები სწორეთ ისე იქცევიან, როგორც ბლანკისტები და ხიშტებისა და შეთქმულობის მეოხებით ცდილობენ ფართო მასის რევოლუციონური ნებასურვილი გააბათილონ და მას ვიწრო პარტიული მისწრაფება თავზე მოახვიონ. ბოლშევიკები ფაქტიურათ რევოლუციონური აზროვნების სფეროში და რევოლუციის განმტკიცების პროცესში უკიდურეს რეაქციონურ როლს თამაშობენ.

მაგრამ მთელი რუსეთის რევოლუციონური დემოკრატიის სურვილი იქეთ არის მიმართული, რომ დამფუძნებელი კრების მეოხებით გააერთიანოს მთელი რუსეთის რევოლუციონური ფრონტი. განსაკუთრებით დამფუძნებელ კრების მოწვევაში დაინტერესებულია განაპირა ქვეყნების დემოკრატია. უკანასკნელი ბოლშევიკების ცენტრში გაბატონების გამო სავსებით მოსწყდა რუსეთის რევოლუციონურ დემოკრატიას და მით დასუსტდა მთელი რევოლუცია. დამფუძნებელი კრების მოწვევა და მისი მოქმედება განამტკიცებს რევოლუციას და მით მტკიცე საფუძველზე დააყენებს ხალხის ყოველმხრივ განვითარებას.

პრესა

„საქართველო"-ს უმადური როლი უკისრია. მას სურს თავისი ნაციონალისტური გულის ნადები გამოამჟღავნოს, მაგრამ ისე კი, რომ თავი დემოკრატიის დამცველათ მოაჩვენოს ქვეყანას. ეს სასაცილო მდგომარეობაში აგდებს „საქართველოს". ის სწერს:

„გერმანეთის დემოკრატია უფარდებს დემოკრატიის უმაღლეს პრინციპს გერმანეთის ცხოვრებას. ინგლისელი დემოკრატია უფარდებს მას (ინგლისელ თუ ინგლისურ?) პირობებს. **საქართველოს დემოკრატიამ უნდა შეუფარდოს ეს პრინციპი საქართველოს ცხოვრებას** (ხაზი ჩვენია). „საქართველომ" იქნებ გვიჩვენოს, როდის იყო, რომ ჩვენმა დემოკრატიამ ადგილობრივ პირობებს არ შეუფარდა თავისი მოქმედება?

„სახალხო საქმე" ცდილობს თავისი ნაციონალისტური სულისკვეთება პოლიტიკურ სიბრძნეთ გაასაღოს. ამისთვის ის ნებსით თუ უნებლიეთ ღალატობს ჭეშმარიტებას და ლოღიკას.

არ. ჯაჯანაშვილი სწერს:

„სარევოლუციო წრეებში ღრმათა სწამდათ, რომ როდესაც ბიუროკრატიულ ცენტრალიზმის ადგილს სარევოლუციო ცენტრალიზმი დაიჭერდა, რუსეთიც გადარჩებოდა დარღვევისაგან. **მაგრამ პოლიტიკური რომანტიზმის ეს იდეალები რევოლუციის ცხოველმყოფელმა ხხივებმა გაჰფანტეს,** რევოლუციამ თავისი ნამდვილი სახე გვიჩვენა და ძირიან-ფესვიანათ აღმოფხვრა ყოველივე ნაშთი ძველებური მთლიანობისა (ხაზი ჩვენია).

ასე უკუღმა ატრიალებს ბ. ჯაჯანაშვილი სინამდვილეს. მას გონია, რომ რუსეთის დაქსაქსვა „რევოლუციის ცხოველმყოფელმა სხივებმა" გამოიწვიეს, ნამდვილათ კი ყველამ იცის, გარდა პოლიტიკურ ბალღებისა, რომ დემოკრატიის სისუსტემ დაარღვია მისი მთლიანობა. დეე პოლიტიკური რომანტიკოსობა იყოს ჩვენი სურვილი მთლიან დემოკრატიის ფრონტისა. მხოლოდ ბურჟუაზიის იდეოლოგებს შეუძლიათ გაიხარონ ამ რომანტიზმის დამარცხებით.

„სახალხო საქმის" ცრუდემოკრატობა და ცრუ სოციალისტობა აშკარათ მტკიცდება მისი დამოკიდებულებით ამიერ-კავკასიის ცხოვრებასთან.

ვინც ამიერ-კავკასიის ცხოვრების პირობებს იცნობს, მისთვის ცხადია, რომ მხოლოდ რუსეთის ძლიერ დემოკრატიასთან კავშირი შეგვაძლებინებს ჩვენ საჭირო რეფორმების გატარებას, მხოლოდ ამიერ-კავკასიის ერთა დემოკრატიის მჭიდრო კავშირს შეუძლია გვიხსნას უბედურებისაგან, ამისთვის საკმაოა მოვიგონოთ თუნდაც განჯის და ახალციხის ამბები.

„სახალხო საქმეს" კი ჰგონია, რომ „ამიერ-კავკასიის ახლანდელი მთლიანობა მტკიცე იქნება იმდენათ, რამდენადაც მტკიცედ იქნება ტრადიციები ძველი ბიუროკრატიული რუსეთისა", მას ვერ წარმოუდგენია ერთობა, გარეშე ბიუროკრატიის მუხრუჭებისა.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ფედერალისტების „საუკეთესო კაცები" კუდმოკვეცილ ერობით კმაყოფილდებოდენ, რადგან მათ არ სწამდათ ხალხი. დღესაც ასე ფიქრობენ. ეს რასაკვირველია, მათი საქმეა, მაგრამ რათ გონიათ მათ, რომ ქვეყნის დანაწილება დემოკრატიის იდეალი უნდა იყოს. ძველი საქართველო მაინც მოიგონონ, როცა ის რამდენიმე სახელმწიფოთ იყო დანაწილებული, მაგრამ ხალხს ბატონ-ყმობის უღელს ქვეშ ხდებოდა სული. ან თუნდაც შეადარონ კერენსკის მთავრობის დღეები, როცა რუსეთის დემოკრატია მთლიანი იყო და დღევანდელი ვითარება, როცა რუსეთი რამდენიმე დამოუკიდებელ კუთხეთ დაიყო, სადაც გაბატონებული კლასები უდგანან ცხოვრების სათავეში და რეფორმებზე ჩამიჩუმიც არ ისმის.

„სახალხო საქმის" „სოციალისტების" პოლიტიკურ სიკოტრის სანიმუშოთ საკმაოა მოვიყვანოთ მათი დამოკიდებულება ამიერ-კავკასიის მიწის დეკრეტთან. —„დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეს დეკრეტი სრულიათ ვერავითარ პრაქტიკულ ნაყოფს ვერ გამოიღებს სწორეთ იმიტომ, რომ ეს დეკრეტი ეხება მთელს ამიერ-კავკასიას სრულიად განსხვავებულს ერთი-მეორისგან როგორც სოციალურათ, ისე სარევოლუციო შეგნებით".

შეიძლება მართლაც ვერ განხორციელდეს მიწის დეკრეტი, რაც დემოკრატიის სისუსტის შედეგი იქნება. ის ვერ განხორციელდება იმდენათ, რამდენათ დაგვირგვინდება ის იდეალი, რომელსაც ფედერალისტები ეტრფიან: დაყავით კავკასია რამდენიმე სახელმწიფოთ და ბეგ-აღალარებიც თავისას გაიტანენ.

ნუ თუ ეს სასიხარულოა ფედერალისტებისთვის. საინტერესოა, რას უზის მათი კაცი კომისარიატში, თუ კი ისინი დიამეტრალურათ ეწინააღმდეგებიან კომისარიატის მოქმედების ხაზს?

ა. ჯაჯანაშვილმა მოგვცა პოლიტიკურათ დამოუკიდებელი საქართველო, ვინმე ქ. რაჭველიშვილი გვირჩევს რუსეთს თავი დავანებოთ დროებით და მთიულებს, უკრაინას და სხვებს დავუკავშირდეთ, მაგრამ ეს ჩქარა უნდა ვქნათ, თორემ, გვასწავლის ქართველიშვილი, თუ დროზე შესაფერი ნაბიჯი არ გადავდგით და ჩვენი საკუთარი სახე არ გამოვიჩინეთ—მალე ანგარიშს აღარ გაგვიწევენ"-ო.(იხ. „სახალხო საქმე" № 137).

ასე მოსწრებაზე აშენებულს დამოუკიდებელ საქართველოში თედო ღლონტი შეუდგა ეკონომიურ პოლიტიკის წარმოებას, რადგან მას შეუმჩნევია, რომ პოლიტიკურათ და კულტურულათ ძლიერი ქვეყანა ეკონომიურადაც ძლიერი უნდა იყოს. რა საშუალებით ფიქრობს თედო ღლონტი საქართველოს ეკონომიურად გაძლიერებას? მას ძალიან აწუხებს ის გარემოება, რომ „საქართველოს დაპატრონებია სოციალ-დემოკრატიული პარტია მენშევიკებისა" (თუმცა ამ სიტყვების გვერდით ქ. რაჭველიშვილი გვარწმუნებს, ჩვენი პარტია, მიუხედავათ რიცხვობრივ სიმცირისა, ცხოვრებას ტონს აძლევდაო), მაგრამ იმედს მაინც არ ჰკარგავს. პირველ ყოვლისა, როგორც ჭეშმარიტს სოციალისტ-ფედერალისტს შეჰფერის, ის მუშების დაბეჩავებით ჰფიქრობს საქართველოს ეკონომიურ გაძლიერებას. „მაღალ ხელფასის და დიდი ჯამაგირების ინტერესები ყოველ საზოგადო ინტერესებზე მაღლა იქნა დაყენებულიო". დასკვნა — მუშებმა ცოტა უნდა მოითხოვოსო.

ჟურნალ-გაზეთებიდან

სიონიზმი და ინგლისის დიპლომატია.

როგორც მკითხველებს ახსოვთ, ინგლისის მთავრობამ ამას წინათ გამოაქვეყნა დეკლარაცია პალესტინის დამოუკიდებლობის შესახებ. ამის გამო ამხ. გ. ერლიხი შემდეგს სწერს:

„სიონისტთა ბანაკში დიდი დღესასწაულია. ძველ, ნაციონალისტურ ფრაზეოლოგიას, რომელიც მოსწყინდა როგორც მსმენელებს, ისე მკითხველებს, ისევ აწვდიან მასსას უკვე განახლებულ ფორმით და დიდის ამბით.

რა მოხდა? ინგლისის მთავრობამ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც აცხადებს, რომ იგი მზათ არის დაუბრუნოს ებრაელებს პალესტინა. ეჭვს არ არის, უფრო მშვიდობიან დროს სიონისტები არ დახარჯავდენ ამდენ ორატორულ ნიჭს, ამდენ პუბლიცისტურ ცეცხლს. სიონისტები არც ისე სულელები არიან, რომ არ იცოდენ, რომ არ ესმოდეთ რეალური ღირებულება ინგლისის დეკლარაციისა. საქმე იმაშია, რომ ჩვენ დღეს განსაკუთრებულ დროში ვცხოვრობთ, ხდება არჩევნები სრულიად რუსეთის ებრაელთა ყრილობის დელეგატებისა და სიონისტებმა, როგორც პრაქტიკულმა ხალხმა გაიგეს, თუ ინგლისის დეკლარაციაზე არ შეიძლება მთელი ებრაელ ხალხის ბედის აგება, შესაძლებელია მაინც მისი გამოყენება და მოტყუილებით ამომრჩევლების ხმების შეკრება. ვნახოთ, რა ბედნიერება უნდა მიანიჭოს ებრაელ ხალხს ინგლისის დაპირებებმა. ინგლისს არამც თუ არ უპყრია პალესტინა თანახმათ საზავო ხელშეკრულებისა, მას ჯერ კიდევ იარაღით არ დაუპყრია იგი. ამნაირათ, ინგლისი განაგებს ახლა პალესტინას იმავე უფლებით, რა უფლებითაც გერმანიას შეეძლო თავის განკარგულებაში აეღო, ვთქვათ, ინდოეთი, რომელზედაც იგი დიდი ხანია ილესავს კბილებს. ინგლისის მისიის უფროსმა განაცხადა, რომ ისინი მზათ არიან პალესტინა აჩუქონ სიონისტებს, მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ ინგლისელებმა საბოლოოთ ჩაიგდონ იგი ხელში, რაც შესაძლებელია მხოლოდ შეთანხმების სახელმწიფოთა სრული გამარჯვების შემდეგ.

არ არის საჭირო დიდი სტრატეგი იყო ადამიანი, მიხვდე, რომ შეთანხმების სახელმწიფოების სრულ გამარჯვებამდე ამ ჟამათ დიდი მანძილია. ინგლისის დაპირების რეალური ღირებულება, ამნაირათ, არ არის დიდი, მაგრამ შეიძლება დაპირებას ჰქონდეს მორალური ღირებულება, როგორც დამამტკიცებელი ებრაელ ხალხისადმი კარგი მოპყრობისა.

უნდა იყვე შეგნებული პირმოთნე ან სავსებით ბრმა, რომ უკანასკნელ 3 ნახ. წლის საშინელ ომის შემდეგ სთქვა, რომ მებრძოლ სახელმწიფოთა პოლიტიკაში რაიმე მნიშვნელობა აქვს მორალისა ან სამართლიანობის პრინციპს. დიდი ხანია ინგლისის სათავეში არ მდგარა ისეთი რეაქციონური და შეუბრალებელი სასტიკი მთავრობა, როგორიც ლოიდ-ჯორჯის მთავრობაა.

ინგლისის მთავრობას სხვადასხვა მიზნებით შეუძლია გამოსთქვას თავისი „გრძნობები". მან არამც თუ ამოიღო ხმა ებრაელთა სისხლის გამო, რომელიც იღვრებოდა არა მარტო ფრონტზე, არამედ „ზურგშიაც", მან ნებაც არ მისცა ამის შესახებ ეწერათ ინგლისის პრესაში. სამაგიეროთ, მან საშინელი ხმაურობა ასტეხა ოსმალების სიმხეცის გამო. რისთვის იყო ეს ასე—ეს ყველასათვის აშკარაა და ეს, ალბათ, სრულებითაც არ არის მორალის საკითხი. ინგლისის დეკლარაცია ებრაელების სიყვარულით არ არის ნაკარნახევი. ჩვენ შეიძლება გვეპასუხონ, პოლიტიკაში მთავარ როლს თამაშობს არა გრძნობები, არამედ—მშრალი ინტერესები და თუ ინგლისის ინტერესები ეთანხმება ებრაელ ხალხის ინტერესებს, მით უკეთესი ებრაელებისათვის. ვნახოთ, მაინც, როგორია ერთისა და მეორის ინტერესები.

ინგლისს ძლიერ სურს დაანაწილოს, მოსპოს ოსმალეთი. ამ სახელმწიფოს დაშლა დიდებული გარანტია იქნებოდა ინგლისისათვის აფრიკაში და აზიაში მისი ახალშენების მთლიანობის დასაცავათ. ინგლისის იმპერიალისტების მიზანია ოსმალეთის ახალ ადგილების შემოერთებით განამტკიცონ ძველი შემოერთებანი. მაგრამ დღეს შეუძლებელია აშკარათ გაძარცვა. ვინ არ იცის, რომ ჩვენ ვაწარმოვებთ „განმანთავისუფლებელ ომს"? მებრძოლი სახელმწიფოები, როგორც ვიცით, არ არიან მომხრე სხვისი ადგილების შემოერთებისა, მხოლოდ ისინი ანთავისუფლებენ „უღლისაგან" წვრილ ერებს. ინგლისის მთავრობა „ანთავისუფლებს" სომხეთს ოსმალეთის მონობისაგან; იგი „ანთავისუფლებს" არაბებს და ამ მიზნით ცდილობს ჩამოაშოროს იმავე ოსმალეთს არაბეთი.

პალესტინაში ცხოვრობენ აგრეთვე არაბები. მართლაცდა, შეუძლებელია ორჯერ „გაანთავისუფლონ" არაბები, —ერთხელ არაბეთში, მეორეჯერ პალესტინაში. ამიტომ ინგლისის იმპერიალისტებმა ისარგებლეს სიონისტების მიერ ნაკარნახევ აზრით და გადასწყვიტეს ამ შემთხვევაში „გააბედნიერონ" ებრაელები.

ეს მით უფრო შეიქნა საჭირო, რომ ჟაბოტინსკებმა და ვეიცმანებმა, რომლებიც ყოველთვის მზათ არიან სამსახურისათვის, აღუთქვეს გამოიყვანონ პალესტინაში ებრაელ მოხალისეთა ლეგიონები. ინგლისმა არ იცის შესძლებს თუ არა ჩამოაშოროს ოსმალეთს პალესტინა. მაგრამ ებრაელებისათვის პალესტინის დაპირებით იგი იჭერს ორ კურდღელს: მას ეძლევა საუკეთესო საბაბი, რომ ჩამოაშოროს ოსმალეთს კიდევ ერთი პროვინცია და ახალ ლეგიონების" და ბანკირების თანაგრძნობის იმედი. და რომ პალესტინა მართლაც „განთავისუფლდეს" „ოსმალეთის უღლისაგან", მაშინ ინგლისი პალესტინაში თავის პოლიტიკის საწარმოებლათ საუკეთესო იარაღათ გამოიყენებდა სიონისტებს. თავის თავად ცხადია, პალესტინა ვერ გახდებოდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთ, იგი გადავიდოდა შეთანხმების სახელმწიფოთა, უმთავრესათ ინგლისის, პროტექტორატის ქვეშ. ებრაელები პალესტინაში უმცირესობას შეადგენენ. გარშემორტყმულ მცხოვრებთა წინააღმდეგ „ნაციონალურ პოზიციების" დასაცავათ ბრძოლაში პალესტინის ებრაელთა ხელმძღვანელ ჯგუფებს უნდა ეთხოვათ დახმარება გარეშე სახელმწიფოებისათვის, ე. ი. ისევ ინგლისისათვის.

აი, როგორია ინგლისის იმპერიალისტების ინტერესები. ისინი არ ეთანხმებიან **ინგლისის ხალხის** ინტერესებს. გაცილებით უფრო ნაკლებათ ეთანხმებიან ისინი **ებრაელ ხალხის** ინტერესებს.

ებრაელები, რომლებიც ცხოვრობენ რუსეთში, პოლონეთში, ლიტვაში, გალიციაში და ამერიკაში, დღემდის არ მიდიოდენ პალესტინაში. ეს ებრაელები არ წავლენ იქ მაშინაც კი, როცა პალესტინის გენერალ-გუბერნატორი იქნება ჟაბოტინსკი. მთელი ქვეყნის ებრაელები დაინტერესებულნი არიან თავისუფლებისა და დემოკრატიზმის პრინციპების გამარჯვებაში. პალესტინის ებრაელებს, თავის ნაციონალურ ხასიათის დასაცავათ უნდა მიემართა უმრავლესობის წინააღმდეგ ძალადობისათვის.

არა, ებრაელ ხალხის ინტერესები კი არა, სიონისტ ავანტიურისტთა ვიწრო ჯგუფის ინტერესები ეთანხმება ინგლისის იმპერიალისტთა ინტერესებს. იმპერიალისტურ პოლიტიკით გამოწვეულ მსოფლიო ომმა ყველა ქვეყნის და ხალხის შოვინისტებს აღუძრა სურვილი ძალა-უფლებისა და სხვებზე გაბატონებისა. ებრაელ მასისათვის უცნობია ასეთი სურვილები: მათ მეტად ბევრი სისხლი დაღვარეს ამ ომის დროს. მეტათ ბევრი მსხვერპლი მიიტანეს მილიტარიზმის სამსხვერპლოზე, რომ კიდევ ნება მისცენ სიონისტებს ჩაითრიონ თავის ავანტიურისტულ თამაშში. ნაციონალისტური მოლაყბეები ვერ შესძლებენ რუსეთში ჩამოაშორონ ებრაელების მასა რევოლუციის განსამტკიცებლათ პოლიტიკურ ბრძოლას. ეს მოლაყბეები ვერ შესძლებენ ჩამოაშორონ ებრაელების მასა სამოქალაქო, პოლიტიკურ და ნაციონალურ თანასწორობისათვის ბრძოლას.

დეპეშები

4 იანვარს თფილისში შემდეგი დეპეშები მოვიდა:

პეტროგრადი. 28 დეკემბერი. ბრესტ-ლიტოვსკში მივიდა რუსეთის დელეგაცია, რომელშიც არიან ტროცკი. იოფე, კამენევი, პოკროვსკი, ბიცენკო, კარახანი, რადეკი, ალტფატერი და ლიპსკი.

მოხდა უკრაინელთა დელეგაციის სხდომა საერთო, შეთანხმებულ გამოსვლის შესახებ. უკრაინელები განუცხადებენ რუსეთის დელეგაციას, სცნონ უკრაინის თვით-გამორკვევა და დელეგაციაც უკრაინის რესპუბლიკის სრულ-უფლებიან წარმომადგენლათ აღიარონ. დელეგაცია გამოაქვეყნებს დეკლარაციას საზავო მოლაპარაკების ნეიტრალურ სახელმწიფოში გადატანის შესახებ.

პეტროგრადი. ომისა და ზავის შესახებ „პრავდა" სწერს: გერმანიის იმპერიალიზმი თვისი მაჩანჩალა ავსტრიის იმპერიალიზმითურთ დემოკრატიული ზავის პრინციპების პირ-მოთნეობითი აღიარების შემდეგ უცბათ გატიტვლდა და წამოაყენა ცინიკური პირობები დამონავება-ძარცვა-გლეჯისა; რაც არ უნდა იქნას განცხადებული ამის შემდეგ ყველაფერი გარდაიქცევა უბრალო ფრაზათ ან ქაღალდის ნაგლეჯათ. უკეთუ მოთხოვნათა შესაფერი დამცველი ძალა არ აღმოჩნდა რუსეთის ფრონტზე ამ ჟამათ არჩეული წითელი გვარდია, რომელიც სოციალიზმისთვის იბრძვის. სახლში მიდიან დაღლილნი, ისეთები, რომელთაც ბრძოლა არ შეუძლიათ. ბრძოლის ველზე რჩებიან სოციალიზმისთვის მებრძოლნი, მხოლოდ ისინი დგანან სადარაჯოზე და იცავენ პეტროგრადს კაიზერის ჯარების შემოსევისაგან.

როგორც გაზეთები იუწყებიან, გერმანიის კანცლერს განუცხადებია საზავო მოლაპარაკების სტოკჰოლმში გადატანის შესახებ, რომ რუსეთის მთავრობამ წინადადება მოგვცა ბრესტიდან მოლაპარაკება სტოკჰოლმში გადავიტანოთ. ჩემის აზრით მოლაპარაკების სტოკჰოლმში გადატანა კიდევ უფრო გაართულებს საქმეს და ამიტომ მივანდოთ სახელმწიფო სეკრეტარს უარჰყოს რუსეთის მთავრობის წინადადება.

სახალხო კომისართა საბჭო გაზეთების სიტყვით ამზადებს დეკრეტს საყოველთაო მობილიზაციის შესახებ გაწვეულნი იქნებიან 18—35 წლამდე. დეკრეტს არ აქვეყნებენ, ვინაიდან ამ საკითხის გამო საბჭოში უთანხმოება ყოფილა.

პერმის საარჩევნო ოლქში არჩეულ იქნენ დამფუძნებელ კრებაში 20 ესერი, 4 ბოლშევიკი და 2 კადეტი.

ამხანაგებო! დააჩქარეთ გაზეთზე ხელის მოწერა. გაავრცელეთ თქვენი ინტერესების დამცველი გაზეთი „ერთობა".

ახალი ამბები

ქალაქის დაცვა. თფ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ენერგიულათ შეუდგა ქალაქში ხულიგან-ნაძირალების ალაგმვას და რევოლუციონურ წესრიგის დაცვას. ამ მიზნით 3 იანვარს მოხდა ამხ ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით აღმასრულებელ კომიტეტის წევრთა კრება. კრებაზე მოწვეული იყვნენ ყველა პოლიტიკურ პარტიების, ქალაქის თვითმართველობის, ქალაქის რაიონების, წითელ გვარდიის და ნაციონალურ საბჭოების წარმომადგენლები. კრებამ განიხილა აღმასრულებელ კომიტეტის მიერ 31 დეკემბერს შემუშავებული საგანგებო ზომები და მცირე შესწორებით მიიღო ყველა ეს ზომები. სხვათა შორის არსდება რევოლუციონური ტრიბუნალი, სასტიკათ დაისჯება, ვინც უმიზეზოთ გაისვრის თოფს და სხ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აღმასრულებელი კომიტეტი შესძლებს ქალაქში რევოლუციონურ წესრიგის დაცვას. ყველა შეგნებული მოქალაქე მოვალეა ენერგიული დახმარება აღმოუჩინოს აღმასრულებელ კომიტეტს ქალაქის დაცვის საქმეში.

◆ **კომისარის მოკვლა.** 3 იანვარს მოჰკლეს სოფ. დიდომის კომისარი სონღულაშვილი.

◆ **ჯულფა-ბაქოს რკინის გზა.** 3 იანვრის სხდომაზე კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოთა ცენტრმა დაადგინა ჯულფა-ბაქოს რკინის გზის გაყვანის საკითხი გადაეცეს ამიერ კავკასიის კომისარიატს. ამასთანავე ცენტრმა გამოსთქვა სურვილი—არ იქნას შეჩერებული ხსენებული გზის გასაყვანათ მუშაობა.

◆ **მუშათა სექციაში** მუშაობა სწარმოებს ყოველ დღე, კვირა დღის გარდა, დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

◆ **„კომუნისტური მანიფესტი".** 6 იანვარს, დილის 11 საათზე, სახალხო სახლში ამხ. ჰ. აზატიანი წაიკითხავს ლექციას კომუნისტურ მანიფესტზე, მისი შედგენის დღიდან 70 წლის გასვლის გამო. შესასვლელი ბილეთი ღირს 50 კ. ამავე ლექციას აზატიანი წაიკითხავს სომხურ ენაზე 7 იანვარს დილის 11 საათზე.

◆ **კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოთა ცენტრმა** დაადგინა დასტოვოს ძალაში ძველი გადაწყვეტილება, რომლის თანახმათ მუშათა ორგანიზაციებმა შემოსავლის 10 პროცენტი უნდა გადასდონ მუშათა ცენტრის სასარგებლოთ.

◆ **ნავთი.** ქალაქის თვითმართველობა ამ დღეებში მიიღებს 100 ვაგონ ნავთს. ნავთის ნაწილი დარიგდება მსხვილ საწყობებში, საიდანაც წვრილი ვაჭრები მიიღებენ 6 მანეთათ ფუთ ნავთს. გირვანქა ნავთი გაიყიდება 18 კაპ.

◆ **ქაღალდის ფული.** ომამდე რუსეთში იყო სულ 1600 მილიონ მან. ქაღალდის ფული გამოცემული. რევოლუციამდე გამოუციათ კიდევ 18 ათასი მილიონი მან., რევოლუციის დაწყების შემდეგ 61 ათასი მილ. მან. ამჟამათ კი დაახლოებით 35 მილიარდ მან. ქაღალდის ფული იქნება გამოცემული.

◆ **ამიერ კავკასიის კომისარიატმა** შემდეგი დეპეშა მიიღო:

სტავროპოლიდან: გთხოვთ შეაჩეროთ სტავროპოლში ჯარების ნაწილების გზავნა. მოსული ჯარისკაცებით სავსეა ქალაქი. მდგომარეობა კრიტიკულია.

განჯიდან: თავდაცვის კომიტეტის მდგომარეობა კრიტიკულია. უბინოთა რიცხვი დიდია. საჭიროა საჩქარო ზომების მიღება. სხვადასხვა ადგილებიდან დეპეშები მოგვდის. მოითხოვენ დახმარებას.

სოჩიდან: სურსათი მუშებისთვის აღარ არის. საჭიროა აქედან ტყვეების გაყვანა. საჭიროა გემები.

ჯულფა-ორდუბათის გზაზე ცხენების საკვები არ მოიპოვება. ფოსტის გადატანა ფერხდება.

სარიყამიშიდან: რბევა-ძარცვა-გლეჯა გრძელდება. ჯარისკაცები საინტენდანტოდან ნივთებს იტაცებენ. არავითარი ზომა არ სჭრის. ამიერ კავკასიის რკინის გზას ვაგონები აღარ ჰყოფნის ჯარების გადასაგზავნათ.

◆ **რუსის ეროვნულ ყრილობის** მომწყობი საინიციატივო კომისია საჩქაროთ აწარმოებს თვის საქმეებს: ხსნის ფილიალურ განყოფილებებს ბაქოში, განჯაში, ვორონცოვკაში და სხვა მჭიდროთ დასახლებულ რუსის კუთხეებში, ადგენს სტატისტიკას. ყველა პუნკტებს სამხედრო საისტორიო განყოფილება რუქაზე აღნუსხავს.

◆ **ბონების ბეჭვდა.** ამიერ კავკ. კომისარიატმა გამოსცა კონკურსი ბონების სურათების შესადგენათ. ამ მიზნით მან მიმართა ქართულ, სომხურ და სხვა სახელოვნო დაწესებულებებს წარმოადგინონ საკონკურსო სურათები. ბონაზე კომისარიატის თავმჯდომარის და ფინანსთა კომისარის ხელწერილი უნდა იქნეს აღბეჭდილი.

კრებები და მიტინგები.

5 იანვარს საღამოს 7 საათზე დანიშნულია საბჭოსა და პროფესიონალურ გამგეობათა წევრების კრება. დღის წესრიგი: 1) მოხსენება კონფერენციის შესახებ, 2) მცირე წლოვანთა შრომის დაცვა, 3) მომრიგებელ კამერის წევრთა არჩევნები, 4) ხელოსანთა გამგეობის შესახებ.

პროვინციის ქრონიკა

სოფ. ხვარბეთი (გურია). აქ შესდგა ადგილობრივ მასწავლებელთაგან და ინტელიგენტებისაგან სცენის მოყვარეთა წრე. ამ წრის მიზანია მოაწყოს წარმოდგენები, ლექციები და სხვა. 16 დეკემბერს კიდეც გამართეს წარმოდგენა, ადგილობრივ ორ-კლასიან სასწავლებლის შენობაში. წარმოდგენილ იქნა „სიმდიდრის მსხვერპლი". წარმოდგენას ხალხი ბევრი დაესწრო მიუხედავათ ცუდი ამინდისა. წარმოდგენა გვარიანათ ჩაატარეს და ხალხიც კმაყოფილი დარჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭირო წრემ მეტი ძალები შემოიკრიბოს თავის გარშემო და მით გააფართოოს მუშაობა.

ს. სუფსა. საჭიროთ მიგვაჩნია პრესის საშვალებით ქ. შ. წ. კ. გ. ს. მთავარ გამგეობის საყურადღებოთ განვაცხადოთ შემდეგი:

ამ ორ-სამი წლის წინად ს. სუფსაში გარდაიცვალა ვახტანგ გურიელი. სიკვდილის წინ მას ანდერძი დაუტოვებია, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემი ქონებით სარგებლობის უფლება აქვს ჩემს მეუღლეს, უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ კი, ჩემი ქონება გადადის ქ. შ. წ. კ. გ. ს. საკუთრებათო. ეს ქონება ღირს 100000 მანეთზე მეტი.

სამტრედია. 30 დეკემბერს სამტრედიის რკ. გზის კლუბში შესდგა სამტრედიის რაიონის მუშათა და ჯარისკაცთა კრება. კრებას დაესწრენ სამტრედიის რაიონის სხვადასხვა საზოგადოების გლეხთა აღმასრულებელ კომიტეტების წარმომადგენლები. კრების საგანს შეადგენდა: 1) მოხსენება მიმდინარე მომენტზე და 2) ხალხის შეიარაღებაზე. დასმულ საკითხზე მოხსენება გააკეთა კავკასიის მუშათა საბჭოების ყრილობიდან დაბრუნებულმა დელეგატმა ამხ. პ. წულაიამ, რის შემდეგაც მიღებულ იქნა საპროტესტო რეზოლიუცია ბოლშევიკების მიერ დამფუძნებელ კრების გარეკის წინაამდეგ. რეზოლიუცია მოითხოვს დამფუძნებელ კრების მხარის დაჭერას. იარაღების განაწილების შესახებ სხვადასხვა საზოგადოებებზე მოხსენება გააკეთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სახელით ამ. კ. შენგელიამ. კრების დასრულებისას მ. ჯანელიძემ შემოიტანა წინადადება: „მოახლოებულია 9 იანვარი და ამ დღეს 1905 წელს პეტროგრადში მეფის ჯალათებმა დახოცეს პურის და შემწეობის მთხოვნელი მუშები და საჭიროა ამ მსხვერპლთა მოსაგონებლათ და აღსანიშნავათ 9 იანვარს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ რაიმე ზომები მიიღოსო“. კრებამ ეს წინადადება ერთხმათ მიიღო და დაადგინა, რომ იმ დღის შემოსავალი წავიდეს მუშათა და ჯარისკაცთა კასის ფონდის გასაძლიერებლათ, რომელიც მოხმარდება ისევ რევოლიუციის საქმეს; ყოველივე ზემოხსენებულის პრაქტიკულათ ცხოვრებაში გატარება დაევალა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

ს. ლესა (გურია). აქედან სიმინდს ბათუმში ეზიდებიან გასაყიდათ, რასაც ხელს უწყობენ დეზერტირი სალდათები. ამას პირველ ყოვლისა მიაქცია ყურადღება ს. ლესის მოწინავე ამხანაგებმა. დანიშნეს ხუთი კაცი პლატფორმიდან, რომ არ გასულიყო სიმინდი, მაგრამ მაწანწალებმა ურჩობა გასწიეს. საქმე იქამდე მივიდა, რომ სიმინდებს კონფისკაცია უყვეს, შემდეგ მოახდინეს კრება, რომელმაც დაადგინა არჩეულ იქნას მყიდველ-გამყიდველებისაგან კომისიები, დაადვან სიმინდს ნიხრი და ამ ფასებში გაიყიდოს. გამორკვეულ იქნას სიმინდის რაოდენობა და თუ აღმოჩნდება საზოგადოებისთვის საჭიროზე მეტი სიმინდი, მიეცეთ გატანის ნება. შემდეგ კრებამ წინადადება მისცა საზოგადოების ყველა წევრებს მომავალში დათესონ სიმინდი.

სოფელში გახშირებულია ლოთობა და ქურდობა ინდაურ-ქათმების. ლესაში იყო ორი ღვინით სავაჭრო, ახლა გახსნეს მესამე, რაც ძალიან ხელს უწყობს და ავარჯიშებს ლოთ ბიჭ-ბუჭებს ჩხუბს და გინებაში.

ს. მარტყოფი. არ იქნა, ბოლო არ მოეღო გაზ. „საქართველოს“ მარტყოფელ კორესპონდენტების სიცრუეს. ამ გაზეთის მე-167 ნომერში ვინმე „მარტომყოფელი“ სიცრუეს სწერს, ვითომც კრებაზე ეროვნულ-დემოკრატების ლაპარაკის შემდეგ ხალხი მათ მიმხრობოდეს. დამფუძნებელი კრების არჩევნებმა დაგვიმტკიცა, რომ ხალხმა ნდობა სოც.-დ. პარტიას გამოუცხადა. მაგალ., მარტყოფში 1500 ამომრჩევლიდან მხოლოდ 14 ხმა მიიღეს სხვა პარტიებმა და აქედან ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო მხოლოდ 5 ხმა.

ტყულია ისიც, ვითომ მარტყოფის აღმასრულებელ კომიტეტს თავი ეროვ.-დემ. პარტიის კომიტეტად გამოეცხადებიოს.

არც ის არის მართალი, როგორც გ. „საქართველოს“ კორესპონდენტი სწერს, ვითომ არჩევნების დროს ზოგიერთებს წყალი აემღვრიოს. პირიქით, ვინც 11 ნოემბრის კრებას დაესწრო სოფ. ნორიოში და 12 ნოემბერს დიდ მიტინგს მარტყოფში და შემდეგ არჩევნების პროცესს, ვერ უარყოფს, რომ ხალხმა დიდი სიდარბაისლე გამოიჩინა და არჩევნებიც სამაგალითო წეს-რიგით ჩატარდა.

მუშათა კანტროლი

როცა ბოლშევიკებს იერიშები მიჰქონდათ დროებით მთავრობაზე, ისინი დაპირებათა სიძუნწეს არ იჩენდენ. ჯარისკაცებს მათ აღუთქვეს ზავი, გლეხებს—მიწა, მუშებს—მუშათა კანტროლის დაწესება წარმოებაზე. თუ რას ნიშნავდა ეს უკანასკნელი ლოზუნგი, ამის შესახებ არც ავტორებმა იცოდენ რა. „მუშათა კანტროლი“ თუმცა რაღაც საიდუმლოებით იყო მოცული, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მისგან ბევრ რამეს მოელოდენ. მუშებს ეგონათ, რომ „მუშათა კანტროლი“ და სოციალიზმი თითქმის ერთი და იგივეაო. მათ ეგონათ, რომ ამის შემდეგ ყოველივე ჩვენს ტანჯვა-წვალებას ბოლო მოეღებაო. ამიტომ იყო, რომ ისინი კრებებზე ბოლშევიკებს ასე ცხარეთ უკრავდენ ტაშს და ეხმარებოდენ მათ ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ. როცა კერენსკის მთავრობის ადგილი ლენინის მთავრობამ დაიკავა, ვექსილების განაღდების დროც დადგა. ბურჟუები, მენშევიკები და ესერები აღიგავენ პირისაგან მიწისა. მთელი ძალაუფლება „მუშათა და გლეხთა მთავრობას“ ეკუთვნის. ახლა არავინ ხელს არ უშლის ბოლშევიკებს განახორციელონ „მუშათა კანტროლი“.

რას ვხედავთ?

ბოლშევიკების წრეში „კანტროლის“ შესახებ ღრმა უთანხმოებამ იჩინა თავი. ერთ ჯგუფს, რომელსაც ჯერ კიდევ, ასე თუ ისე, მარქსიზმის ნიადაგზე დგას, „მუშათა კანტროლი“ შეკვეცილათ აქვს წარმოდგენილი. მისი აზრით „მუშათა კანტროლის“ ცენტრალური სარაიონო ორგანოები უნდა ასრულებდენ მხოლოდ საკანტროლო ფუნქციებს, ხელს უწყობდენ წარმოების წესიერ მიმდინარეობას, მაგრამ ინდუსტრიალურ სფეროში არ უნდა გააუქმონ კერძო საკუთრება. ისეთი სახითაც მათ არ სურთ კანტროლის ყველგან, ყოველ წარმოებაში განხორციელება, არამედ—იმ შემთხვევაში—უკეთუ კანტროლის დაწესებას აუცილებლობა მოითხოვს. ასე უცქერიან ამ საკითხს, როგორც სჩანს, შლიაპნიკოვი, მილიუტინი, ლარინი და საზოგადოთ ყველა ისინი, რომლებიც ფაქტიურათ ბოლშევიკური მთავრობის „მუშათა პოლიტიკას“ აწარმოებენ.

სხვა ბოლშევიკები და მათ შორის ლენინი არ კმაყოფილდებიან საკითხის ასე დასმით. მარქსიზმი მათ საბოლოოდ დაივიწყეს და შეუჩერებლივ მიჰქრიან ანარქო-სინდიკალისტური უტოპიისაკენ. პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს 4 დეკემბრის კრებაზე ლენინმა პირდაპირ განაცხადა შემდეგი: „პროლეტარიატს წინ უდგას მთელი წყობილების სოციალისტურათ გარდაქმნის საკითხი, საკითხის სხვაგვარათ გადაჭრა საქმეს არ შველის, ვინაიდან ქვეყნის ეკონომიური და სამეურნეო მდგომარეობა იმ პირობებშია, რომ საშუალოთ საკითხის გადაჭრა არ შეიძლებაო“.

ასე რომ, ლენინი მასსის სტიქიურ მისწრაფებას ტონს აძლევს, ლენინისთვის „მუშათა კანტროლი“ სოციალიზმის მსგავსი რამ არის.

რაც არ უნდა იყოს, ეს მომხიბლავი ლოზუნგი ხალხში გადასროლილია. მუშები ცდილობენ მის განხორციელებას როგორც პეტროგრადში ისე პროვინციაში. რას ვხედავთ?

მუშათა მასსა ამ საკითხში შლიაპნიკოვს კი არ ეთანხმება, არამედ—ის ეთანხმება ლენინს. მასსა სავსებით მაქსიმალიზმის ილიუზიითაა გაჟღენთილი. მუშები მწარმოებლებს აძევებენ, აყენებენ მათ ალაგას მუშათა დირექციას, იგდებენ ხელში ფაბრიკა-ქარხნებს, ცდილობენ აამოძრაონ მრეწველების დანგრეული მანქანა,—მუშები ფიქრობენ ამით გადალახავენ ყოველგვარ დაბრკოლებებს.

ბოლშევიკების დემაგოგიური ლოზუნგის თანახმათ „მუშათა კანტროლი“ ეწყობა ქვევიდან. „ლენინის სოციალიზმს“ ისე უთავბოლოთ ანხორციელებს პროლეტარიატის შეუგნებელი მასსა, რომ მას სრულიადაც სახეში არ აქვს საერთო სახელმწიფოებრივი საზომი—ამ შემთხვევაში ადგილი აქვს მხოლოდ ფაბრიკა-ქარხნების ანარქიულათ, სტიქიურათ მუშათა ჯგუფების ხელში ჩაგდებას. ამის შედეგი აშკარაა. ერთი მთლიანი ძალა პროლეტარიატისა იშლება, ვითარდება „საქარხნო პატრიოტიზმი“, მუშათა სხვა და სხვა ჯგუფები ამ ნიადაგზე ერთმანეთს კონკურენციას უწევენ ნედლი მასალის, სათბობის, ფულის თუ „ზაკაზების“ შოვნის ნიადაგზე. მუშათა კლასის იდეური ბრძოლა სოციალიზმისათვის ხურდავდება წვრილ, „მეშჩანურ“ ინტერესებზე. მუშებს არ ძალუძთ წარმოების მოწყობის სიძნელეთა გადალახვა. მათ არ იციან სად გააჩინონ ფული, ნედლი მასალა, როგორ მოაწესრიგონ ტრანსპორტის და გაცვლა-გამოცვლის საქმე. მუშებს ამისთვის არც საკმაო გამოცდილება, არც მომზადება და ცოდნა აქვთ. ან კი საიდან ექნებათ მათ ყველაფერი ეს? თავიანთი ანარქისტული მოქმედებით ისინი კიდევ უფრო აჩქარებენ აუცილებელ „კრახს“ მაქსიმალისტური ილიუზიებისა. და ეს „კრახიც“ შორს არ არის. ცნობები უკვე მოდის, რომ ამა და ამ წარმოებაში მუშები ვერას გახდენ და ქარხანა პატრონს დაუბრუნდესო. რაც დღე გადის, ახეთი ცნობები მით უფრო მეტი მოდის. ეჭვს გარეშეა, „მუშათა კანტროლის“ საქმის ჩაფუშვა მეტად საზარალო იქნება მუშათა კლასისთვის როგორც ეკონომიურად, ისე ფსიხოლოგიურად, მაგრამ ისტორიამ არ იცის უმტკივნეულო განვითარების გზები. უნდა ვიმედოვნოთ, რომ ასეთი ავათმყოფობის შემდეგ დადგება პროლეტარული მოძრაობის ჯანსაღი და ძალუმი გაფურჩქვნა. (რ. დ.)

საზავო მოლაპარაკება ბრესტში

გაზეთებმა მოგვიტანეს ცნობები გერმანელების მიერ ბრესტში წამოყენებულ საზავო პირობების შესახებ. პირობების **შინაარსი** ასეთია: გერმანია თანახმაა რუსეთთან ზავის ჩამოგდების. გერმანია მზათაა მოხსნას პოზიციიდან ჯარი და გაანთავისუფლოს ომის დროს დაკავებული ადგილები შემდეგი პირობებით: ა) თუ ყველა მეომარი სახელმწიფოები ამგვარსავე პრინციპს დაადგებიან მის შესახებ. (ესე იგი გაანთავისუფლებენ გერმანიის კოლონიებს, და სხვა ტერიტორიას). ბ) თუ **წინასწარ** მოხდენილი იქნება რუსის ჯარის სრული დემობილიზაცია. გ) გერმანია ანთავისუფლებს არა ყველა ადგილებს, არამედ—იმდენათ, რამდენათაც ეს არ ეწინააღმდეგება მეორე მუხლს პირობების.

მეორე მუხლში კი ნათქვამია, რომ რადგან რუსეთის მთავრობა თავის პრინციპების მიხედვით აღიარებს ყველა რუსეთში მცხოვრებ ერთა თვითგამორკვევას სრულ დამოუკიდებლობამდე, ამიტომ რუსეთმა უნდა ახლავე აღიაროს, რომ პოლონეთს, ლიტვას, კურლიანდიას, ნაწილს ლიფლიანდიისა და კურლიანდიისა არ სურს რუსეთის საზღვრებში დარჩენა და ისინი აღიარებულ იქნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებათ და გამოეყონ რუსეთს.

საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს განთავისუფლება ჯარისაგან ამ ადგილების, განსაკუთრებულათ უნდა დაისვას: აქ რუსეთის აზრით, ხალხმა ფართე ხმის მიცემით უნდა დაადასტუროს თავის სურვილი გამოყოფის შესახებ, (და არა რუსეთში დარჩენის, ავტონომიის და სხ.) და ამ დადასტურების დროს ის უნდა დამოუკიდებელი იყოს რაიმე ძალდატანებისაგან სამხედრო ძალების საშვალებით, ვადა და საშვალება ასეთ ხმის მიცემისა უნდა განიხილოს და დააწესოს განსაკუთრებულმა კომისიამ.

მესამე მუხლის ძალით უნდა აღდგენილ იქნეს ძველი ხელშეკრულობები, რომელიც ომამდე არსებობდა ამ ორ სახელმწიფოთა შორის.

ამ ხელშეკრულობების შესაცვლელათ თვითეულ მხარეს უფლება აქვს განცხადებით მიმართოს მოპირდაპირეს წინასწარი ზავის გამოცხადებიდან სამი თვის განმავლობაში. მეორე მხარე ერთი თვის განმავლობაში განცხადების მიღებიდან აძლევს პასუხს დადებითს, ან უარყოფითს.

ეკონომიური ომი უნდა მოისპოს. თვითეული მხარე მეორეს ისეთს შეღავათს აძლევს ვაჭრობაში, როგორც რომელიმე სხვა მხარეს აქვს. ორივე სახელმწიფოებმა ყოველი ღონე უნდა მიიღონ, რომ ეკონომიურ ბრძოლას არც პირდაპირი და არც არა პირდაპირი საშუალებებით ადგილი არ ჰქონდეს, **დროებით** ვაჭრობის მოსაწესრიგებლათ სდგება განსაკუთრებული კომისია.

მუდმივი სავაჭრო ხელშეკრულება უნდა შეკრული იქნეს, რაც შეიძლება მალე იმ პირობით კი, რომ ერთმანეთს ყოველი შეღავათი მისცენ, რომელიც რომელიმე მხარეში აქვს სხვა სახელმწიფოს, გარდა ავსტრო-უნგრეთისა გერმანიისთვის და რუსეთიდან გამოყოფილ სახელმწიფოებისა—რუსეთისათვის.

ყოველგვარი შემავიწროვებელი კანონები გერმანელებისათვის რუსეთში ისპობა. ვისაც შემზღუდველ კანონების გამო ზარალი მოუვიდა, მას უნდა საზღაური მიეცეს რუსეთის ხაზინიდან; გაყიდული მიწები, წარმოებები და სხვ. უკანვე უნდა დაუბრუნდეს გერმანელ პატრონებს, თუ იგინი ახალ კანონით სახელმწიფო საკუთრებათ არ არის გამოცხადებული.

მეათე მუხლი ეხება კონტრიბუციას და ამბობს, რომ არც ერთი მხარე არ თხოულობს სამხედრო ხარჯების ანაზღაურებას. და აგრეთვე იმ ზარალის, რომელიც ტერიტორიის დაპყრობის დროს მიადგათ სამხედრო მოქმედების გამო. ხოლო თუ სახელმწიფოს მიერ ძალადობა იქნა ნახმარი მოპირდაპირე სახელმწიფოს ქვეშევრდომებზე ან საკონსულოზე, მიყენებული ზარალი უნდა ანაზღაურებულ იქნეს. ზარალის განსაზღვრა ენდობა განსაკუთრებულ შერეულ კომისიებს.

შემდეგი მუხლები ეხება ტყვეების დაბრუნებას, გერმანიის კომისრების უზრუნველყოფას რუსეთში, დატუსაღებულ გემების დაბრუნებას და სხ.

ასეთია გერმანიის „სამართლიანი და დემოკრატიული“ ზავი, რომელშიაც არც სამართლია დაცული და არც დემოკრატიზმი. არის მხოლოდ რუსეთის დამონება, როგორც ომის **ყველაზე დაძლეული მხარის.**

⁂

ავსტრო-უნგრეთის პასუხი ამაზე უფრო ცუდი უნდა იყოს, მარა მისი სრული ტექსტი ხელთ არ გვაქვს, გვაქვს მხოლოდ ც. აღმასრ. კომიტეტის რეზოლიუცია ამ ზავის პირობების შესახებ, რომელიც აქვე მოგვყავს:

„მუშათა, ჯ.-კ. და გლ. დეპ. საბჭოთა ცენტრ. აღმასრ. კომ. მოისმინა კამენევის მოხსენება ბრესტში მოლაპარაკების შესახებ და შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა:

პირველი პროგრამული განცხადება, რომელიც ოთხთა კავშირის წარმომადგენლებმა წარმოადგინეს ბრესტში, აღიარებდა **პრინციპიალურათ** ზავის ჩამოგდებას უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ. ამან წარმოშვა ნიადაგი მოლაპარაკების გასამართავათ საყოველთაო დემოკრატიულ ზავის შესახებ. მაგრამ უკვე ამ განცხადებაში გერმანელების წარმომადგენლებმა უარი სთქვეს ეცნოთ თვითგამორკვევის უფლება იმ დაჩაგრულ ერებისა და კოლონიებისთვის, რომელნიც 1914 წლამდე იქნენ დაპყრობილნი. ეს შეზღუდვა აღნიშნულ იქნა მაშინვე რუსეთის დელეგაციისაგან, რომელმაც აღმოაჩინა, რომ გერმანიის გაბატონებული კლასები იძულებული არიან ხალხის მოძრაობის ზეგავლენით დაუთმონ დემოკრატიულ ზავის იდეას, და ამასთანავე ცდილობენ გადააუკუღმართონ ეს იდეა და მიმართონ იგი ძველი ანექსიონისტური პოლიტიკის გზისაკენ.

ავსტრო-უნგრეთის დელეგაციის განცხადება კიდევ უფრო აუკუღმართებს დემოკრატიულ ზავის იდეას თავის საზავო პირობებით. მისი განცხადების აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ავსტრო-უნგრეთის მთავრობა უარს ამბობს დაუყონებლივ თავის ჯარის გაყვანაზე ომის დროს დაპყრობილ ადგილებიდან, როგორიცაა პოლონეთი, ესტლანდია, ლიფლიანდია და კურლიანდია. ნამდვილი თავისუფალი გამოხატვა მცხოვრებთა სურვილების შეუძლებელია პოლონეთსა, ლიტვასა და კურლიანდიაში, თუ იქ უცხო ჯარები დარჩენ და ძირითადი გადახვეწილი მცხოვრებლები არ იქნენ უკან დაბრუნებული.

გერმანელების განცხადება, თითქოს ამ მხარეების მცხოვრებთა სურვილი უკვე გადაჭრით გამოთქმული იყოს, აშკარათ მოკლებულია საფუძვლიანობას. ის საბუთები, რომელზედაც გერმანელები ეყრდნობიან, შედგენილია ამ მხარეთა გაბატონებულ ნაწილისაგან, და არა მთელი ხალხის მასსისაგან.

შემდეგ რეზოლიუცია აცხადებს, რომ რუსეთის დემოკრატია თავის რევოლიუციურ პოზიციაზე რჩება, თხოულობს ნამდვილ თვითგამორკვევას პოლონეთისა, ლიტვისა და კურლიანდიისათვის, საზავო მოლაპარაკების გადატანას ნეიტრალურ ტერიტორიაზე და ბოლოს მიმართავს ყველა მეომარ სახელმწიფოთა ხალხებს დაეხმარონ მათ დემოკრატიულ ზავის ჩამოგდებაში.

ტროცკის პასუხი

ამას წინეთ ჩვენს გაზეთში გადმოვბეჭდეთ საფრანგეთის პარლამენტის სოციალისტთა ფრაქციის მიმართვა რუს სოციალისტებისადმი. სახალხო კომისართა საგარეო საქმეების გამგემ ტროცკიმ შემდეგი პასუხი გასცა მათ:

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის პარლამენტარული ფრაქცია მოწოდებით მიმართავს რუს სოციალისტებს, რომელშიც საყვედური გაფრთხილებასა და რჩევასთანაა შეერთებული. მოწოდება, ცხადია, სეპარატიული ზავის საფრთხეს შეეხება.

საიდან წარმოიშვა ეს საფრთხე? მოწოდება ეხება ცარიზმის გამრყვნელ პოლიტიკას, რომელმაც გახრწნა და დაასუსტა ქვეყანა. და მოიგონებს იმ აღფრთოვანებას, რომლითაც ფრანგი სოციალისტები რუსეთის რევოლიუციას შეხვდენ. საჭიროა მხოლოდ ამ მოგონების შესწორება. ომის დაწყებიდანვე ფრანგი და ბელგიელი სოც.-პატრიოტები დაჟინებით გვირჩევდენ ჩვენ, რუს რევოლიუციონერებს, შევრიგებოდით იმ ცარიზმს, რომელიც არღვევდა და აუძლურებდა ქვეყანას. მოქალაქე ვანდერველდე ასეთ მოწოდებებს უგზავნიდა რუს ამხანაგებს ცარიზმის დიპლომატების დახმარებით.

მოქალაქე გედი, სემბა და ტომა იმავე რჩევას გვაწოდებდენ. მათი თანამოაზრე რუსი სოც.-პატრიოტები, ყოველი ძალღონით აფერხებდენ რევოლიუციის გაღრმავებას, აჭიანურებდენ ცარიზმის აგონიას და ამით ხელს უწყობდენ ქვეყნის დაშლას და დასუსტებას.

რევოლიუციონური სოციალიზმის მიზანი, როგორც ჩვენ გვესმოდა, იმაში მდგომარეობდა, რომ ეხსნა პროლეტარიატი ნაციონალისტური იდეების ზეგავლენისგან და მისი რევოლიუციონური ენერგია ომის, იმპერიალიზმის და კაპიტალისტური წესწყობილების წინაამდეგ საბრძოლველათ მიემართა. სწორედ ასეთი მიზანი დაგვისახა ჩვენ ბაზელის საერთაშორისო სოციალისტურმა კონგრესმა, მაგრამ ომის დროს ბურჟუაზიის უძლეველმა ძალდატანებამ მუშათა მოძრაობის ოპორტიუნისტული, საპარლამენტო ზედა ნაწილი თავის გავლენას დაუმორჩილა.

საერთაშორისო პროლეტარიატი დიდი ხნით დაქუცმაცებული და უძლური აღმოჩნდა. ამის გამო ომს წინააღმდეგობას აღარავინ უწევდა და ამიტომ ის გაჭიანურდა, რითაც მთელი ევროპის კულტურას დაღუპვას განადგურებას უქადდა. სამზე მეტმა წელიწადმა აშკარა ჰყო, რომ ვიდრე ომის ნიადაგზე ვდგევართ, ომისაგან თავს ვერ ვიხსნით. საფრანგეთის ხალხს ყოველი შეტევის წინ საბოლოო გამარჯვებას ჰპირდებოდენ, მაგრამ ეს იმედები არ გამართლდა. თუმცა არც ჰოგენცოლერნის ჯარის სამხედრო გამარჯვებამ იხსნა გერმანიის ხალხი სისხლის ღვრისაგან. ეხლაც ისეთივე გამოურკვეველ მდგომარეობაში ვართ, როგორც ომის პირველ თვეებში ვიყავით.

რუსული სოციალიზმი რევოლიუციონურ ნიადაგზე ცდილობდა ომის შეწყვეტას, გუჩკოვის და მილიუკოვის წმინდა ბურჟუაზიული დიქტატურის დახმარების შემდეგ, ძალა-უფლება სოციალისტ-შემრიგებლების, შეიდემანის, ვანდერველდეს და გედის რუს თანამოაზრეთა ხელში გადავიდა. ისინი ცდილობდენ არ დაერღვიათ ძველი იმპერიალისტური კავშირის ჩარჩოები: ისინი არწმუნებდენ მოკავშირეებს, რომ ამ ჩარჩოებში გადავათვალიერებთ ძველ ხელშეკრულებებს და ამით ხელს შეუწყობთ ზავის დაუყონებლივ ჩამოგდებასო. რა ნაყოფი მოიტანა ამ თავაზიანი რწმუნების პოლიტიკამ? არავითარი, მოკავშირე დიპლომატები, მათ რიცხვში ფრანგებიც, ზოგადი ფრაზებით და ბუნდოვანი დაპირებებით გვიმასპინძლდებოდენ. ოფიციალური ფრანგული სოციალიზმი რაღას შვრებოდა? თუ მისი ტაქტიკა სწორი და უტყუარი იყო, მას პოლიტიკურ ბრძოლაში უნდა გამოეაშკარავებინა ის ძალა, რომლითაც ისტორიამ საფრანგეთის რაინდული პროლეტარიატი დააჯილდოვა, მაგრამ ეს არავის მოგონებია.

საფრანგეთის პარლამენტარულმა ფრაქციამ მთავრობის განკარგულებაში გადასცა ყველა სამხედრო კრედიტები, მაგრამ ამის სანაცვლოთ ერთი გარკვეული და სერიოზული პასუხიც ვერ მიიღო ომის მიზნების შესახებ. მეტსაც ვიტყვით. ფრანგ სოციალისტებს პასპორტების მიცემაზე ყოველთვის უარს ეუბნებოდენ, როცა სოციალისტების საერთაშორისო კონფერენციაზე ლაპარაკი ჩამოვარდებოდა. ის პოლიტიკა, რომელიც სოციალიზმს ასეთ მდგომარეობაში აყენებს, არ შეიძლება სწორ პოლიტიკათ ჩაითვალოს. და საფრანგეთის პარლამენტარულ ფრაქციას, რომელიც პასუხის მგებელია ოფიციალური ფრანგული სოციალიზმისა ამგვარი დამცირებისათვის არა აქვს უფლება მოსამართლის როლში გამოვიდეს და რუსულ ბოლშევიზმს მკაცრი მსჯავრი დასდოს.

უფრო მცირე უფლება აქვს ფრანგულ ოფიციალურ სოციალიზმს ჩვენ გვისაყვედუროს სეპარატიული შერიგება და სეპარატიული ზავის საფრთხე ჩვენ დაგვაბრალოს. ჩვენ მოვუწოდეთ ყველას საყოველთაო ზავისაკენ. ჩვენ წინადადებით მივმართეთ ყველა მებრძოლ ხალხებს და მათ მთავრობას, დაუყონებლივ დაეწყოთ მოლაპარაკება **საყოველთაო** ზავის ჩამოსაგდებათ. ეს მოლაპარაკება სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე მონაწილე, და ნამეტურ ჩვენ, მზათ ვიყოთ მაინც ჩამოვაგდოთ ზავი, რაც უნდა მოხდეს. მაგრამ მოლაპარაკება ავალებს ყველა სახელმწიფოს თანხმობას, გამოამჟღავნოს რა მიზნებით აწარმოებს ომს და რა პირობებში სურს ზავის ჩამოგდება. ჩვენ, ჩვენის მხრით, გამოვაქვეყნეთ ძველი დაპყრობითი ხელშეკრულებანი, გამოვაცხადეთ ისინი ჩვენთვის არა სავალდებულოთ და მოვითხოვეთ დემოკრატიულ საფუძველზე აგებული ზავი. საფრანგეთის ბურჟუაზიამ ამ წინადადებაზე კლემანსოს სამინისტროს, ე. ი. ბრმა შოვინიზმის და სოციალური რეაქციის მთავრობის, შექმნით გვიპასუხა. ფრანგული ოფიციალური სოციალიზმი საყვედურებით და ბრალდებებით მიმართავს არა საფრანგეთის ბურჟუაზიას, არამედ რუსეთის პროლეტარიატს.

ამგვარათ, „წმინდა ერთობა“ კლემანსოს სამინისტროს დროსაც ძალაში რჩება.

საფრანგეთის პარლამენტარულ ფრაქციაზე ნაკლებათ კი არ ვესწრაფვით ჩვენ საყოველთაო დემოკრატიულ ზავს. ჩვენ ეს ჩვენი ბრძოლით დავამტკიცეთ, მაგრამ ამგვარი ზავი ახლა შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ მაშინ, თუ ყველა ქვეყნის პროლეტარიატი თავის ნაციონალურ ბურჟუაზიას შეებრძოლება.

„წმინდა ერთობა“ ასეთი ბრძოლის შესაძლებლობას სპობს. ის ხელ-ფეხს უბორკავს პროლეტარიატს და ბურჟუაზიის უთვითნებო იარაღათ ხდის.

საფრანგეთის ხალხს სხვა ქვეყნის ხალხზე არა ნაკლებ სჭირდება ზავი.

კლემანსოს გზა კი ზავის გზა არ არის. ესაა საფრანგეთის ხალხის დაღუპვის გზა. შეუძლებელია ეს არ ესმოდეს საფრანგეთის პროლეტარიატს. ჩვენ მტკიცეთ გვწამს, რომ საფრანგეთის პროლეტარიატი ხმას აღიმაღლებს და საფრანგეთის მთავრობას აიძულებს, სამშვიდობო მოლაპარაკებაში მონაწილეობ[illegible] მიიღოს, ვისაც არ უნდა სეპარატიულ[illegible] ზავი, ის უარს ვერ იტყვის მოლაპარაკებაში მონაწილეობის მიღებაზე, [illegible] მან აშკარათ უნდა წარმოადგინოს თავისი პირობები ზავის ჩამოსაგდებათ.

სამშვიდობო მოლაპარაკება უკვე დაიწყო. სახალხო კომისართა საბჭო ა[illegible] მოლაპარაკებაში საერთაშორისო სოციალიზმის ინტერესებს და პრინციპე[illegible] დაიცავს. საფრანგეთის პროლეტარია[illegible] განზე არ გადგება. ის გვერდს აუვლ[illegible] ოფიციალური პარლამენტის გმირებს და თავისი ბურჟუაზიის წინააღმდეგ ხმას აღიმაღლებს, რათა დაუყონებლივ შეწყდეს ხოცვა-ჟლეტა ყველა ფრონტ[illegible] და ყველა ხალხს ეღირსოს საპატიო დემოკრატიული ზავი.

ყოველი პარტიის წევრი მოვალეა საკუთრათ გამოიწეროს პარტიის ცენტრალური ორგანო „ერთობა“.

რუსეთის ამბები

სამარაში შესდგა ყველა წოდებათა წარმომადგენლების ყრილობა. ყრილობის საგანი იყო ადგილობრივი მთავრობის შედგენა. ბოლშევიკების და მემარცხენე ესერების წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს მონაწილეობის მიღებაზე. ერთი დღით ადრე ამ ყრილობისა გლეხთა საგუბერნიო ყრილობაზე 259 ხმით წინაამდეგ 133 ხმისა (ბოლშევიკები და მემარცხენე ესერები) მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომლითაც მოითხოვს ყრილობა ტერორის და ძალადობის სისტემის მოსპობას. ამასთან ერთად ყრილობა აცხადებს, რომ არ ვსცნობთ სახალხო კომისარებს და როგორც ერთი კაცი, მთელი გლეხობა დამფუძნებელი კრების დასაცავათ ფეხზე დავდგებითო. ყველა წოდებათა ყრილობამ აღიარა, რომ უნდა შექმნილ იქნას საგანგებო საგუბერნიო ორგანო, რომელსაც უნდა ეკუთვნოდეს, როგორც კანონმდებლობითი, ისე აღმასრულებელი ძალა-უფლება, ვიდრე საკითხი დამფუძნებელი კრების მიერ გადაწყდებოდესო. მთავრობა უნდა შედგენილ იქნას პროპორციონალური პრინციპის მიხედვით მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა, ქალაქის და ერობის და აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფის, რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა, პროფესიონალურ კავშირთა და სხ. წარმომადგენლებისაგან.

სამარის მენშევიკების „ვეჩერნაია ზარიას“ სიტყვით ბოლშევიკებმა გაანთავისუფლეს დაპატიმრებული ვაჭრები, ვაჭრები დაპატიმრებული ჰყავდათ ერთი კვირა და გაანთავისუფლეს მას შემდეგ, როცა 5 მილიონის ნაცვლად ვაჭრებმა რამდენიმე ათასი მანეთი გადაიხადესო.

ხურდა ფულის და საზოგადოთ ფინანსიური არევ-დარევის გამო ოდესაში დაიხურა ყველა ბანკები.

კრილენკო და პოლონელები. „დელო ნაროდა“ კრილენკოს დეპეშას აქვეყნებს მიასნიკოვისადმი გაგზავნილს. კრილენკო ატყობინებს—ვინაიდან ხელახლა მოდის საჩივარი პოლონელი ლეგიონის შესახებ, მიიღეთ ზომები, ნუ მოერიდებით ამ ვაჟბატონებს.

შინაგან ფრონტის სარდალი ანტონოვი ატყობინებს სამხრეთის ფრონტის კოლეგიის წევრს, რომ ჯარებს მოსკოვისკენ ნუ გამოგზავნი, ბრინსკისკენ გამოგზავნე, ვინაიდან იქ სურსათიც იშოვებაო. ჩქარა გამოგზავნე პოლკები—ერთი პეტროგრადისთვის, ერთი ციმბირისათვის, რკინის გზის ბატალიონიც საჩქაროთ გამოგზავნე. დასძარით ფრონტიდან მთელი ჯარები. დიდი ბრძოლა გვიდგას წინ. იარაღი აჰყარეთ პოლონელ ჯარისკაცებს. იმოქმედეთ გაბედულათ.

ბოლშევიკების და უკრაინელების დელეგაციები ერთმანეთს შეხვდენ სად. გოროდნიასთან. მოლაპარაკების შემდეგ ბოლშევიკებმა აღშფოთება გამოსთქვეს სახალხო კომისართა საბჭოს წინააღმდეგ, რომელიც ძმას ძმის წინააღმდეგ უსისინებს და დაადგინეს მოითხოვონ დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევა.

სმოლნი ინსტიტუტში საჩქარო მოხსენებები მოდის შინაგანი ფრონტის ანტონოვისა. მისი მოხსენების თანახმად მდგომარეობა კრიტიკულია. ჯარის ბევრი ნაწილები კალედინის და რადის წინააღმდეგ გაგზავნილი, ისე არეულათ მიდიან დანიშნულ ადგილს, რომ ყოველგვარი ძალა ეკარგვის როგორც მებრძოლ ერთეულსო. ზურგის ყველა ჯარის ნაწილებიდან რადის განკარგულების თანახმათ უკრაინელი ჯარისკაცები იარაღით ხელში უკრაინაში მიდიანო. ამიტომ ანტონოვი ახალ ჯარებს მოითხოვს ფრონტიდან და წითელ გვარდიელების ახალ რაზმებს. ამის გამო სმოლნში მოხდა თათბირი, გადაწყდა გააძლიერონ წითელი გვარდიელების რაზმების შედგენა შინაურ ფრონტზე გასაგზავნათ. კრილენკომ ბრძანება გასცა დასავლეთ და სამხრეთ ფრონტებზე, რომ გამოყ

ომედო რაზმები. წითელი გვარდიის აბიც შეუდგა პეტროგრადში ახალი აზმების შედგენას. მიღებული ცნობები ნაური ბრძოლის ველიდან სანუგეშო ი არის ბალშევიკებისთვის. ბევრ ალა- ს უკრაინელებს და ყაზახებს ბალშევი- ური ჯარები დაუმარცხებიათ.

სახელმწიფო ბანკები პეტროგრადსა ა მოსკოვში აღარ მოქმედებენ, ვინაი- ან ძველი მოსამსახურენი არ მუშაობენ, ლები კი არსად სჩანან, საქმის მცოდ- ბი. ფიქრობენ, ერთი თვის შემდეგ იძლება საქმე მოეგვაროსო. ბანკებს ათ ჰქონდათ პეტროგრადსა და მოს- ვში ბინები გამოეცათ, მაგრამ ცნო- ლმა ფინანსისტებმა ეს უარყვეს იმ ოსაზრებით, რომ ბოროტ-მოქმედებას იძლება ექნეს ადგილი გერმანელების ხრითო.

პეტროგრადში ცოტახნის შემდეგ მო- ალოდნელია შიმშილი. ბევრგან რესტო- ანებში კრძს ახლაც უპუროთ იძლე- იან. ამ უკანასკნელ ხანებში ქალაქში იდი არევ-დარევაა. ბალშევიკების მთავ- ობა ბევრს აღარ მიაჩნია მხსნელად. არის ზოგიერთ ნაწილები მთავრობას ღარ ემორჩილებიან. ბალშევიკებმა ვერ ეაჩერეს მთვრალების „პავრომი“. კა- ედინის წინააღმდეგ დანიშნული ჯა- ის ნაწილები წასვლის დროს თითონვე იშნავენ და სხ.

ბინების სოციალიზაციის შესახებ ბალშევიკების მთავრობას მზათ ჰქონია დეკრეტი, რომელსაც ამ დღეებში გამოაქვეყნებენ.

გერმანული ბანკის გახსნის საკითხი პეტროგრადში გადაწყვეტილია.

ბალშევიკების რადიოტელეგრამა იყო მოთავსებული ამ დღეებში თფილისელ ბალშევიკების გაზეთებში უკრაინის რადის გარეკის შესახებ. უკრაინაში საბჭოს მთავრობა გამოცხადდაო. დონეცის და კრივოროგის რუს. ს.-დემ. მუშ. პარტიის ორგანო—„იუგი“ იუწყება, რომ რადა არავის არ გაურეკიაო. საქმე ასე ყოფილა. სრულიად უკრაინის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების ყრილობას გამოჰყოფია მცირედი ჯგუფი ბალშევიკებისა სულ რაღაც 5 პროცენტი მთელი ყრილობის შემადგენლობისა. აი ამ ჯგუფს (70 კაცს) ხარკოვში თავი გამოუცხადებია სრულ უფლებიან მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა ყრილობათ და შეუქმნიათ კიდეც უკრაინის „მთავრობა“.

უცხოეთი

მუშათა მდგომარეობა გერმანიასა და ავსტრო-უნგრეთში ბევრათ განსხვავდება ერთმანეთისაგან. იმ დროს, როცა გერმანიის მუშები პარლამენტარული ბრძოლის საშუალებით ანხორციელებენ ზოგიერთ, თუმცა ნამცეც, უფლებებს—როგორიცაა, მაგალითად, საარჩევნო უფლების რეფორმა პრუსიაში,—ავსტრო-უნგრეთის მუშები ამასაც მოკლებულნი არიან. მათ განსაკუთრებით ავიწროვებენ კაპიტალისტები. უკანასკნელ ხანებში ცენზურა აუტანელი გახდა ავსტრიის სოციალისტურ გაზეთებისათვის. „მუშათა გაზეთი“ ხშირათ აჭრელებული გამოდის—ცენზურა უმოწყალოთ იჭერს წერილებს. განსაკუთრებით შავ დღეს აყენებს ცენზურა ისეთ წერილებს, რომლებიც მუშათა აუტანელ მდგომარეობას ახებიან. თითქმის მთელი ფაბრიკა-ქარხნები ამ ჟამად იმ მთავარ-სარდლების ანკარგულებაშია, რომელ ფრონტის რაიონშიაც ესა თუ ის ქარხანა იმყოფება. ამას წინეთ მაღაროს 12 მუშა სამხედრო სამართალში მისცეს იმიტომ, რომ მათ არ აასრულეს ბრძანება. ეს ბრძანება მათ ავალებდა კვირაობით მუშაობას. მუშები კვირაობით მუშაობაზე უარს ამბობდენ. სურსათის სიმცირის გამო მუშებს აზრათ ჰქონდათ ამ დღეს შეეძინათ სურსათი. როდესაც ეს გაიგო მთავრობამ, პარასკევს გამოსცა ბრძანება, რომ მუშებს კვირას აუცილებლათ ემუშავნათ. მუშები არ დამორჩილდენ. ამიტომ მათ ბინებზე გაგზავნილ იქნენ ჯარისკაცები და ჟანდარმები, რომ ისინი ძალით მიეყვანათ ქარხანაში. მუშები ბინაზე ვერ ნახეს. დააპატიმრეს 12 მუშა. მათ მიუსაჯეს თვითეულს 8 კვირის ციხეში დაპატიმრება. მეორე ალაგას მაღაროს მუშები იმიტომ გაიფიცენ, რომ მათ ოჯახებს შეუმცირეს შაქრის ულუფა. ამის გამო 4 მუშა დააპატიმრეს და სამხედრო სასამართლოს გადასცეს.

სამხედრო ტყვეების მდგომარეობა გერმანიაში, როგორც ერთი ამერიკელი მოქალაქე ასწერს, აუტანელი ყოფილა. ხსენებულ ამერიკელს მთელი ზამთარი გაუტარებია ბელგიაში. მისი სიტყვით გერმანელები სამხედრო ტყვეებს საძნელო სამუშევარზე ამუშავებენ. სხვათა შორის სამხედრო ტყვეების მუშაობით გაუყვანიათ გერმანელებს რკინის გზა ახენსა და ანტვერპენს შორის. მე არაერთხელ მიმიქცევია ტყვეებისათვის ყურადღება—მათი მდგომარეობა აუტანელი იყო, ეს ხალხი მწერივით წყდებოდა უქმელობისა და უტანისამოსობის გამო. ტყვეების მდგომარეობა იმდენათ აუტანელი იყო, რომ მე კიდევაც მივმართე ისპანიის ელჩს, რომ მას ყურადღება მიექცია, ვინაიდან რუსეთის ქვეშევრდომთა ინტერესების დაცვა მას ჰქონდა მინდობილი. ჩემს შუამდგომლობას მსვლელობა არ მიეცაო. სამწუხაროთ, ათავებს წერილს ამერიკელი, რუსეთში ნაკლები წარმოდგენა აქვთ იმის შესახებ, თუ რამდენი რუსი-ტყვე ესალმება წუთისოფელს გერმანიაში.

პორტუგალიის ახალი მთავრობა (რევოლიუციონური კომიტეტი), სხვათა შორის, აცხადებს, რომ წინანდელი რესპუბლიკანური მთავრობის მიერ ხელშეკრულობას და ვალდებულებას დაიცავს, რანაირიც არ უნდა იყოს ეს ხელშეკრულობანი. განამტკიცებს კავშირს ინგლისთან და საზოგადოთ გერმანიის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოებთან. მთავრობა მიესალმება პორტუგალიის ჯარებს, რომლებიც საფრანგეთში და აფრიკაში იბრძვიან. ახლო ხანში იქ შესდგება სამინისტრო, რომელიც მოიწვევს დამფუძნებელ კრებას რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად. ეს არის რევოლიუციონური კომიტეტის მუშაობის გეგმა. მეორეს მხრით რესპუბლიკის პრეზიდენტმა ითათბირა პარლამენტის პრეზიდენტთან, თათბირს დაესწრენ რევოლიუციონური დემოკრატიის ბელადნი. მათ საჭიროთ მიაჩნიათ ერთფეროვანი სამინისტროს შედგენა. სამინისტროს მოღვაწეობას საფუძვლათ უნდა დაედოს: საერთაშორისო ხელ-შეკრულობათა დაცვა, ომში მონაწილეობა, წესიერების დამყარება რეპრესიული ზომების მიუღებლათ და სხ.

ამიერ-კავკასიის სოფლის მეთუთუნეთა კავშირის გარშემო

როგორც ამ ერთი თვის წინათ გაზეთებში იყო აღნიშნული, დაარსდა ამიერ-კავკასიის სოფლის მეთუთუნეთა კავშირი. კავშირმა აირჩია ხელმძღვანელი ბიურო, რომელსაც დაევალა 1917 წ. დამზადებულ თამბაქოსთვის ბაზრის გამოძებნა და კავშირის გარეშე დარჩენილ რაიონების შემოერთება. ბიუროს ხელმძღვანელობა დაეკისრა ამხ. მირიან ბუკიას. ის წავიდა სოხუმში და მის რაიონებში კავშირების მოსაწყობათ. თვით სოხუმში მეთამბაქოეთა კავშირი უკვე ყოფილა დაარსებული. ამხ. ბუკიას მოუწყვია კავშირები სხვა რაიონებშიაც. მიღებულია ზომები მოწინავე ამხანაგების დახმარებით ასეთი კავშირები დაარსდეს ყველა სოფლებში. სოხუმის მეთამბაქოეთა საზოგადოებამ მიანდო ამიერ-კავკასიის მეთამბაქოეთა ბიუროს მათ მიერ გამომუშავებულ ფასების დაცვა ამა თუ იმ საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებებში, რითაც მთელი სოხუმის რაიონიც ხელი-ხელ ჩაკიდებული ივლის ამიერ-კავკასიის ბიუროსთან ერთად. ჩვენ ხელთ გვაქვს ცნობები ყველა რაიონების მიერ გამომუშავებული თამბაქოს ფასების და აგრეთვე 26 ნოემბერს მომხდარ ყრილობის მიერ დაწესებულ ფასების შესახებ. მთელი კავკასია იყოფა რაიონებათ თუთუნის ღირსებისა და ფასების მიხედვით.

კახეთში, პირველი და მეორე ხარისხის დაკეცილი თუთუნი ღირს 260 მან. ფუთი; ზაქათალის მაზრაში მე-3 და მე-4 ხარისხის—150 მან. ფ.; გურიაში 1, მე-2 მე-3 და მე-4 ხარისხის ღირს 230 მან. ფ.; ართვინის რაიონში და აჭარაში 1, მე-2, მე-3 და მე-4 ხარისხის—260 მან. ფ. (დაუკეცელი—230 მ. ფ.); სოხუმის რაიონში (სოხუმი, ოჩემჩირე, ზუგდიდი, გუდაუთი და სხ.) 1 ხარისხის—350 მ. ფ.; მე-2 ხარ.—320 მ. ფ.; მე-3 ხარ.—300 მ. ფ.; მე-4 ხარ.—270 მ. ფ.; (დაუკეცელი—300 მ., 275 მ., 250,220 მ.) იალტაში „დიუბეკის“ თესლის და ყირიმში 1, მე-2, მე-3 და მე-4 ხარ.—345—400 მან. ფ.; ამავე ადგილებში (იალტაში და ყირიმში) დაუკეცელი თამბაქო ამერიკული თესლისა—390—400 მ. ფ.; მთიული ამერიკულ თესლისა—315—325 მ. ფ.

ზემო აღნიშნული ფასების გამომუშავების დროს ჩვენ ვხელმძღვანელობდით იმ გარემოებით, რომ ამა თუ იმ რაიონებში ერთი ფუთი თამბაქოს დამუშავება ძველი (პრიმიტიული) იარაღების საშუალებით დაჯდა 160 მ. 200 მან.-მდე. აგრეთვე მიღებულია მხედველობაში ქაღალდის ფულის კურსის დაცემა. ეს ფასები განხილული და დამტკიცებულია მრავალი დაწესებულებების მიერ. ამავე მიზნით წარედგინება ეს ფასები, როგორც ფაბრიკის პატრონთ, ისე სააქციონერო კომერციულ დაწესებულებებს. ჩვენ ვიცავთ ამ ხალხის მიერ გამომუშავებულ ნორმალურ ფასებს, მხოლოდ საჭიროა დროებით თვით მეთამბაქოებმა შეიკავონ თავი და არ დაუჯერონ პროვოკაციულ ხმებს, თითქოს კავშირების მოწყობას შეეჩერებიოს თამბაქოს გაყიდვა. თამბაქოს გაყიდვა შეჩერებულია დღევანდელი აწეწილი მდგომარეობის გამო, რამაც გამოიწვია ბანკებში ოპერაციების შეწყვეტა. ჩვენ ვფიქრობთ ეს არა ნორმალური პირობები გაივლის. სარწმუნო წყაროებიდან გაგებული გვაქვს, რომ ჩარჩები და ფაბრიკის პატრონები ფუთ თამბაქოში იძლევიან მხოლოდ 90—100 მანეთს: ისინი ყოველ შემთხვევაში ეცდებიან ჩვენი ნაწარმოები ჩალის ფასად ჩაიგდონ ხელში. ამასთან დღეს სოფლად იჩინეს თავი კიდევ ჩარჩებმა, სპეკულიანტებმა, რომლებსაც ათასნაირი ყალბი საბუთებით გააქვთ დიდძალი თამბაქო. ამიტომ კავკასიის მეთამბაქოეთა კავშირის ბიურო წევრებს ნებას არ მისცემს კავშირის ნება-დაურთველათ აწარმოონ თამბაქოს ყიდვა-გაყიდვა, ვინაიდან დამნაშავენი პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი. ბიუროს მისამართი: Тифлисъ, Ольгинская, № 6, контора „Ганатлеба“. Бюро Союза табаководовъ Закавказья, тел. 3—44.

ამიერ კავკასიის მეთამბაქოეთა კავშირის ბიურო.

P. S. ვსთხოვთ ყველა ადგილობრივ ქართულ და რუსულ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

ბიურო.

სოც.-დემ. პარტიაში

ნიგოითის რაიონი. მკაცრი რეაქციის წყალობით 1908 წელში პარტიული ორგანიზაციები ნიგოითის რაიონში ფაქტიურათ დაიშალა. დარჩა მხოლოდ ჯგუფი, რომელიც ბოლომდე იცავდა პარტიულ პროგრამას და ცდილობდა მის ცხოვრებაში გატარებას. რევოლიუციის პირველ დღეებშივე დასახელებულ ჯგუფის მეცადინეობით ისევ მოეწყო პარტიული ორგანიზაციები. პირველი კრება ამ ორგანიზაციების წევრებისა მოხდა 28 მაისს, ამ დღეს პარტიაში ჩაწერილი აღმოჩნდა 208 წევრი. ამ დღიდან წევრთა რიცხვი თანდათან მატულობს. დღეს იგი ადის 363-ამდე. რაიონულ კოლექტივის ჩვეულებრივი კრებები ხდება კვირაში ერთხელ, საერთო პარტიული კრება კი საჭიროებისა მიხედვით. ორგანიზაციების შემოსავალ-გასავალი მაისიდან დეკემბრის დამლევამდე ასეთია:

შემოსავალი:

საწევრო და ერთდროული გადასახადი	345—25
სამაისო დღესასწ. დღეს შეგ.	84—25
პრესის დღესასწ. დღეს შეგრ.	32—10
დამფ. კრების საარ. ფონ. სასარ.	380—60
სულ	842—20

გასავალი:

„ერთობის“ რედაქ. გაეგზავნა	32—10
საოლქო კომ. კრებ. გასაგ. ხარჯი	20—00
გურიის ცენტ. კომ. კრებ. დასასწ. (ხუთჯერ) კომიტ. წევრს მიეცა	94—80
საწევრო გად. გურ. ცენტ. კომ.	200—00
მასვე გაეგ. საარ. ფონდის გასაძ.	268—10
ადგილობრ. დაიხ. არჩევ. დროს	103—85
საკვიტანციო და საოქმო წიგნები	10—00
დარჩა კასაში	113—35
სულ	842—20

ნიგოითის რაიონული ორგანიზაცია რ. ს.-დ. მუშათა პარტიისა.

ს. დიდი ჯიხაიში. 26 დეკემბერს მოხდა პარტიის წევრთა კრება. გასარჩევი იყო საკითხი მომენტის შესახებ. მოხსენება გააკეთა ამხ. ვლ. ნუცუბიძემ. ილაპარაკა დ. ხარითიშვილმა და ბალშევიკმაც ვალ. ვაშაკიძემ. კრებამ ორის წინააღმდეგ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ვინაიდან ამიერ კავკასიის კომისარიატი არის შემდგარი რევოლიუციის გასაღრმავებლათ და მათი გადადგმული ნაბიჯები არის მიზან შეწონილი, ამისთვის კრება უცხადებს მათ სრულ ნდობას. და ვეცდებით დავიცვათ რევოლიუცია და თავისუფლება ყოველგვარ ავანტიურულ გამოსვლებიდან მარჯვნიდან იქნება ის, თუ მარცხნიდან. რაც შეეხება ბალშევიკების გამოსვლებს ძმათა სისხლის საღვრელათ, და დამფუძნებელი კრების გარეკას პეტროგრადში, ვუცხადებთ სასტიკ პროტესტს და მოვუწოდებთ შეერთებისაკენ და მოვითხოვთ დამფუძნებელი კრების დაჩქარებით მოწვევას. საკითხები კოლექტივის რეორგანიზაციასი და პარტიაში მუშაობის გაძლიერების შესახებ გადიდო შემდეგისთვის.

ლ. ჩემოხეთელი.

მუშათა შორის

კვარცხანა. კვარცხანის სპილენძის ქარხნის მართველობა ნემცებისაგან შესდგებოდა. მათი მეცადინეობა იყო, რომ ქართველი ან რუსი მუშა არ ჰყოლოდათ. ამის ფაქტები აუარებელია.

1915 წელში შემოდგომაზე კვარც. ქარხანაში პირველათ დაიწყო სპილენძის ჩამოსხმა. ეს ქარხანა ბათუმის ოლქშია, მაგრამ მუშები განჯიდან და ერევნის გუბერნიებიდან მოჰყავდათ „აგენტების“ საშვალებით და ამ ბნელ მუშებს თავიან ნებაზე ამუშავებდენ: ბათუმში და მის ახლო მახლო კუთხეებში აუარებელი ქართველი მუშები უსაქმოთ დაეხეტებოდენ, მათთვის კვარცხანის სამუშაო მიუწვდომელი იყო. ქართველები „მეამბოხეთ“ მიაჩნდათ და არ ღებულობდენ. ომის დაწყებამდე ქართველი და რუსი მუშები აქ სახელათ არ იხსენებოდა, ომის მიერ გამოწვეულმა მუშა ხელის სიმცირემ ქარხ. ადმინისტრაცია აიძულა ქართველებიც მიეღო. ზემო აღნიშნულ რიცხვებში ქარხანაში ქართველმა მუშებმა ფეხი მოიკიდეს, მაგრამ დრო გავიდა, ადმინისტრაციამ ჩვეულებრივათ შეუგნებელი მუშები (სხვა გუბერნიებიდან მოკრიბა). ეხლა რვაას მუშებში 50-მდე ქართველია.

მაგონდება, რომ ადმინისტრაციას მოწინავე ქართველმა მუშამ 15-ტი დღის „ოტპუსკი“ სთხოვა, ინჟინერმა მოულოდნელათ უპასუხა: „ანგარიში მთელათ აიღე და ისე წადიო, თორემ სულ ერთია მაინც დაგითხოვთო“. აი ძველ რეჟიმში რა ევებით უყურებდენ ქართველ მუშებს.

ქარხნის მართველები პროფესიონალურ კავშირიდან მუშების მიღებას უფთხიან, ეშინიათ ბნელი ძალები არ შემოაკლდეს. კვარცხანის ქარხნის ადმინისტრაციამ 1918 წლისთვის თავისებური „დეკრეტი“ გამოაცხადა: 1) შტატის შესამოკლებლათ 250 მუშების დათხოვა; 2) დარჩენილმა მუშებმა უნდა დააკმაყოფილონ თავი კვირაში სამი დღის მუშაობით; დანარჩენი დღეები უფასოთ უნდა გაჩერდენ, სანამ ქარხანას აამუშავებენ; 3) ფულის მაგიერ კანტორიდან მიიღება კვიტანციები.—ცხოვრების ასეთს კრიზისში მათი მოსაზრება ამგვარია: რომ მუშები შიმშილით არც მოკლან და არც დაარჩინონ. შემდეგ გაძვალ-ტყავებული მუშები ჩოქვით შეიხვეწონ გვამუშავე როგორც გნებავს, გინდ რვა საათი და გინდ 12 საათი, ოღონდ მოგვეც რამე ქირაო. აი სანამდე მივიდა კვარცხ. ქარხნის ალვირ-წახსნილი ადმინისტრაციის თვითნებობა.

ამ საკითხს მოწინავე მუშები ფხიზლათ შეხვდენ. „დეკრეტი“ ცოტა გამოკლებით ადმინსტრაციას უკანვე წაალებიეს. აქაური ადმინისტრაცია ამბობს, რომ სპილენძი არ იყიდება, და მუშებს რა მივსცეო. ძველი დამუშავებული სპილენძი ბათუმში საწყობში ჰყრიაო, საყურადღებოა, რომ ეხლანდელ მომენტში სპილენძის კრიზისია, აქ კი მყიდავი ვერ ვიშოვეთო, ამბობენ. ეს მათი საქციელი სხვანაირ პოლიტიკას მიეწერება.

ძველ რეჟიმში, როცა ბიუროკრატია ძალას ატანდა, რომ ქარხანა ამუშავე ნორმალურ ნიადაგზე არა და ჩვენ თვით ვამუშავებთო, 90,000 ფუთი სპილენძის მყიდავი იშოვებოდა თვეში, ეხლა ორ თვეში ათ დღეს ამუშავებენ და იმის მყიდავიც არ არისო.

ივაკი გიორგაძე.

პროვინცია

ჭრებალო. 28 დეკემბერს მოხდა ჰყვიშის საზოგადოების ყრილობა. ყრილობას დაესწრო გარეშე სოფლებიდანაც. დღიურ კითხვათ წამოყენებული იყო თანამედროვე მომენტი, ოცის თავებისთვის თოფების დარიგება, მიწათ კომიტეტის ერთი წევრის არჩევა და სურსათ-სანოვაგის საქმის მოწესრიგება, თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. თ. ჭელიძე, მდივნად ამხ. მ. ყიფიანი. მომენტის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. კაკო ღოღელიანი, ის ეხება საერთოდ რუსეთის დიდ რევოლიუციას და აღნიშნავს, რომ რევოლიუცია განსაცდელშია, ბალშევიკების გამოსვლამ პეტროგრადში და ძალა-უფლების ხელში ჩაგდებამ რუსეთის დემოკრატიის მთლიანობა დაარღვია, ბალშევიკებმა თავის სულისწრაფობით სოციალისტური რევოლიუცია გამოაცხადეს. ამან გამოიწვია სამოქალაქო ომი, ამის გამო რუსეთის მთლიანობა დაირღვა. რუსეთის ყველა ერები უკრაინამ და სხვამ თავდაცვას შეუდგენ, ასევე მოიქცა ამიერ კავკასიაც. მან შექმნა ცალკე მთავრობა, მაგრამ დროებით; როდესაც რუსეთში დამკვიდრდება მთელი რუსეთის დემოკრატიის ნებასურვილის გამომხატველი მთავრობა კავკასიის მთავრობა მას შეუერდება, მომხსენებელი მოუწოდებს დროებით შინ მოსულ ჯარისკაცებს, რომ დაძახებისთანავე გამოცხადდენ თავიანთ ადგილზე თავისუფლების და სამშობლოს დასაცავათ, შემდეგ თავმჯდომარე აცნობს ყრილობას ოცისთავეებისათვის თოფების დარიგებას, ამ დროს ჭრებალოს პირველ დაწყებითი უმაღლეს სასწავლებლის შენობაში ასტყდა ყვირილი, სადაც ოცამდის ჯარისკაცებს მოეყარათ თავი და ჯარისკაცები გ. ლუხუტაშვილი და მ. ღოღელიანი ურჩევდენ თურმე ჯარისკაცებს მოეხდინათ თავდაცემა, მაგრამ ამაზე არ დათანხმებულან. ამხ. ჯარისკაცებმა ამისთვის ასტეხეს ჩხუბი, რომ კრება ჩაეშალათ. ჯარისკაცების უმრავლესობამ კრება მიატოვა და ხალხის ყრილობას შეუერთდა, ბალშევიკმა ჯარისკაცებმა გ. ლუხუტაშვილმა და მ. ღოღელიანმა სკოლის აივნიდან ასტეხეს ყვირილი; თქვენ ხალხს ატყუებთ, რუსეთს გამოეყავით და სხვა. ასეთმა უხეშმა სიტყვებმა ხალხი ააღელვა, სთხოვეს მყვირალა ორატორებს, რომ ხალხთან მისულიყვენ და ისე ელაპარაკნათ. ბალშევიკები დათანხმდენ და შეუერთდენ ყრილობას, ყრილობაში ყველა ერთი მეორეს უჩურჩულებდა ყურში, რომ ჯარისკაცი გ. ლუხუტაშვილი „ხულიგანობას“ ეწეოდა 1905 წელში და სტრაჟნიკათ რომ იყო ხალხს სტანჯავდა. ყველა ზიზღის თვალით უყურებდა ამ ბალშევიკების მიერ მირონ ცხებულ ჯარისკაცს. ამხ. ი. ლეკიშვილი, ჯარისკაცი, აღელვებულია ამბობს: ამხანაგებო ჯარისკაცებო! ჩვენ დავამხვეთ ნიკოლოზის მთავრობა, ხალხს მოვუპოვეთ თავისუფლება, მაგრამ ახლა თვითონ ჩვენ ვღუპავთ ამ თავისუფლებას, ნიკოლოზის მაგივრათ ტახტზე დავაჯინეთ ლენინიო. ყრილობა მეტათ აღაშფოთა ჯარისკაცების გ. ლუხუტაშვილის და მ. ღოღელიანის საქციელმა, ამხ. თავმჯდომარე აწყნარებს ხალხს და კითხულობს რეზოლიუციას, სიმინდის ჩამორთმევის და გაყიდვის შესახებ დადგენილ იქნა, საზოგადოების მცხოვრებლებს, ვისაც რვა თვის საყოფზე მეტი სარჩო ექნება უნდა გაიყიდოს სიმინდი ფუთი 10 მან. პურის ხორბალი ფუთი 14 მან. ვინაც არ დაემორჩილება ამ დადგენილებას, ძალათ ჩამოერთმევა და ვისაც სულ არ აქვს სარჩო, მას გადაეცემა მოხსენებულ ფასებში; სოფლის ოცისთავეებისათვის საიმედო პირების თოფების მიცემა კრებამ საჭიროთ სცნო, მიწათ კომიტეტის წევრათ აირჩიეს ამხ. დიმიტრი ჩხეიძე. ყრილობა საღამოს ხუთ საათზე დაიშალა, ჯარის კაცები ქუჩაში ჯგუფ-ჯგუფათ იყრიდენ თავს, რაზედაც ხალხი შეშინდა არაფერი მოახდინონო; მაგრამ წყნარათ დაიშალენ.

ტ. რ.

სოფ. ნორიო (თფილისის მაზრა). ეს სოფელი სწორეთ უძღლო სოფელი გახლავთ. მთელმა ქვეყანამ გაილეშა, ნორიელებს ჯერ მაგრა სძინავთ. ლოთობა საშინლათ არის გავრცელებული. ღვინით და არყით ვაჭრობას ხომ საზღვარი არა აქვს. მუდამ კვირა, სულ ცოტა 100—120 ბოჭკა ღვინო და არაყი შემოაქვთ. მოდიან ქალაქიდან, ყიდულობენ და მიაქვთ თფილისში. ასეთი ვაჭრობა თანდათან საშიშ ხასიათს ღებულობს. აღარ არის ან იშვიათია ისეთი გლეხი, რომელიც არ ვაჭრობდეს ღვინით. აქ კამისარათ არჩეული გახლავთ ვინმე ვ. მათიაშვილი, ვაჭრების სულის ჩამდგმელი. ყოველივე კეთილ საქმეს სდევნის ძველებურათ. როგორც კი გაჩნდება სოფელში კეთილი აზრებით გამსჭვალული ადამიანი, მაშინათვე აძევებენ სოფლიდან.

რამდენიმე თვე არის, რაც აქ კოოპერატივი გავხსენით, მაგრამ იმდენი მტრები გაუჩნდენ თვით კომისარის ხელმძღვანელობით, რომ თუ გარეშე დახმარება არ იქნა, სულ ადვილი შესაძლებელია ეს სიმპატიური დაწესებულება დაიხუროს. საჭიროა საბჭოს და კომისარის ხელახალი არჩევა. გლეხთა საბჭოში არჩეულნი არიან მეტ წილათ სოფლის ძველი მოხელეები. მაგ. ს. ბადრიძე, სოფლის ძველი მოხელე, ხალხს ეჯავრება, მაგრამ ისეთი მჭიდრო კავშირი აქვთ ამ ძველებს, რომ ყოველთვის გამარჯვებული გამოდიან. ერთი ინტელიგენტი არ არის მთელ სოფელში და თუ გაჩნდა საიდანმე, ვიმეორებ, აძევებენ ზემო აღნიშნული პირები. ვითხოვთ დახმარებას.

ნორიელი.

საჯევახოს მხარე. მთელ საჯევახოს მხარეში კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებით „საჭამიასერმა“ გაასწრო ყველა სოფლებს. აქ არსებობს პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი, სამკითხველო, კოოპერატივი, წვრილი საკრედიტო დაწესებულება, აფთიაქის საწყობი და ახლახან გახსნეს ფოსტის განყოფილებაც. ამ მხრივ აქაური მრავალრიცხოვანი სოფლები დიდ ნაკლულევანებას განიცდიან და წერილების გასაგზავნათ, თუ მისაღებათ, უნდა ირბინონ ჩოხატაურში, სადგურ საჯევახოში და სამტრედიაში. დღეს კი აქაური მოწინავე პირების მოღვაწეობით და მშრომელი ხალხის შეერთებული ძალით შესრულდა დიდი ხნის ნატვრა და მთასაჯევახოში—„საჭამიას სერზე“ დაარსდა საფოსტო დაწესებულება. ამ საკეთილო საქმეს აუცილებლათ ესაჭიროება რიგიანი საფოსტო გზა, რის უქონლობის გამო მთელი საჯევახოს მხარე დიდს ნაკლს განიცდის. „საჭამია სერის“ მდებარეობა მცხოვრებთათვის აუცილებელ სავალდებულოდ ხდის, რომ საფოსტო გზა უნდა გამოვიდეს „საჭამიასერიდან“ გამოჩინებულის საზოგადოების უმთავრეს გზით და შეუერთდეს სადგ. საჯევახოდან ჩოხატაურისკენ მიმავალ საფოსტო გზას სოფ. ჭოკნარის სკოლასთან. ესეთი მიმართულება მომავალ საფოსტო გზისა სად. საჯევახოსკენ მეტად ხელსაყრელი და სასარგებლო იქნება საჭამიასერის გარშემო მდებარე სოფლებისთვის, რადგან ეს უმოკლესი გზაა ხსენებულ რკინის გზის სადგურთან შესაერთებლად. ამასთან, საგზო ნიადაგი მეტად მკვიდრია და თუ ერთხელ რიგიანი გზა გაკეთდა, ძვირათ თუ ოდესმე გაფუჭდეს, რადგან უკვე არსებულ ძველ გზას საფუძვლად უდევს ადვილათ სათლელი თირი-ქვა და მშრალი ადგილები. „საჭამია სერიდან“ ვიდრე ჭოკნარის სკოლამდე მხოლოდ შესაკეთებელია 5—6 ვერსის მანძილი მეტი არა და ამას ადვილათ შესძლებენ მცხოვრებნი. რაც შეეხება კერძოთ გამოჩინებულის საზოგადოების მცხოვრებთ, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ გონიერი ხალხი ხსენებულ საზოგადოებისა უდიდესი ენერგიით შეუდგება საჭამია სერელებთან ერთად მეტად საჭირო გზის მუშაობას. აბაშის და გორმაღლის მცხოვრებნი ეხლავე სურვილს აცხადებენ გზაზე სამუშაოთ, რადგან ამ სოფლებისთვის განსაკუთრებული ბედნიერება იქნება, თუ საფოსტო გზა გვეღირსება. ამ ყოველ მხრივად ხელსაყრელ გარემოებას აუცილებლათ ჩვეულებრივი ანგარიში უნდა გაუწიონ „საჭამიასერის“ ამხანაგობამ და უნდა ცხადათ დაუმტკიცონ მშრომელ ხალხს, რომ მშრომელი მასსის მსახურნი მცხოვრებთა უმრავლესობის საჭიროებისათვის იღწვიან. მეორე გზაც საჭიროა გავიდეს „საჭამიასერიდან“ ჩოხატაურისკენ, მაგრამ საფოსტო აუცილებლათ საჭიროა გავიდეს სად. საჯევახოსკენ გამოჩინებულის საზოგადოებით.

„მელქისედეკი“.

ცნობები

ჯარის-კაცთა შესახებ.

ჯარისკაცნი იოსებ ფილიპეს ძე და ამფილოქ ალექსანდრეს ძე მეფარიშვილები მსახურობდენ მეორე კავკასიის გზის „ოტრიადში“, № 207; მათ შესახებ არაფერი არ ვიცი 7—8 თვეა. თუ ვინმემ რამე იცით, გთხოვთ შეგვატყობინოთ შემდეგი მისამართით: სამტრედია, ქუთაისის გუბერნია, ზედა ტობანიერის სასწავლებელი, ივანე ბურკაძეს.

ჯარისკაცი ალექსანდრე პავლეს ძ ჯაში მსახურობდა კავკასიის ფრონტზ დღიდან ომის გამოცხადებისა. სარიყამიშთან ბრძოლის დროს იღებდა მონაწილეობას ოსმალეთის ჯართან შეტაკებაში. ორ წელზე მეტია, რაც მისი ამბავი მისმა მშობლებმა არ იცის. თუ ვინმემ რამე იცით მის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ გაზ. „ერთობი“-ს რედაქციაში უშანგი სოფრომის ძე ჯაშს.

ფონდი

მივიღეთ ამბროსი ბერძენიშვილისაგან გაზეთის ფონდისათვის 13 მანეთი.

კბილის საექიმო
და ლაბორატორია ხელოვნური კბილებისა, დაარსებული
გ. ხაიკინა-შინკარევეს
მიერ, თფილისი, მიხეილის პრ., ს., № 76.
ავათმყოფები მიიღება განუწყვეტლივ
დღით და ღამით,
ღამით მორიგეობა ექიმებისა.

ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიენდის ქუჩა, № 19.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

ექიმი გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

მიიღება ხელის მოწერა 1918 წ. ყოველ დღიურ გაზეთ
„სოციალ-დემოკრატ“-ზე
ხელის მოწერის პირობები:
ერთი წლით 50 მან., ექვსი თვით 27 მან., სამი თვით 13 მან. 50 კაპ., ორი თვით 9 მან., ერთი თვით 4 მან. 50 კაპ: ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ.
განცხადების ფასი: პირველ და უკანასკნელ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—50 კაპ.
სამგლოვიარო განცხადება—2 საათამდის—10 მან.
გაზეთის დაკვეთა შეიძლება თვის პირველ და თხუთმეტ რიცხვებში შემდეგი მისამართით: Кутаисъ, почт. ящ. № 9 Тутку Гварамія.